ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ᲞᲠᲝᲚᲔᲢᲐᲠᲔᲑᲝ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲔᲠᲗᲓᲘᲗ!

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ 1920 ᲬᲚᲘᲡ 3 ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲓᲐᲜ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲓᲐ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 82 (19224) ᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 9 ᲐᲠᲠᲘᲚᲘ, 1985 ᲬᲔᲚᲘ. ᲤᲐᲡᲘ 3 ᲙᲐ�პ.

მ. ს. გორბაჩოვის საუბარი

გაზეთ „პრავდის“ რედაქტორთან

ᲙᲘᲗᲮᲕᲐ: ჩვენი გაზეთი ბევრ წერილს იღებს — საბჭოთა ადამიანებისგანაც და საზღვარგარეთიდანაც, რომლებიც საერთაშორისო საქმეებს ეძღვნება. როგორ დაახასიათებდით მიხეილ სერგეის ძეს, საერთაშორისო ვითარებას?

ᲞᲐᲡᲣᲮᲘ: ჩემთვის გასაგებია ადამიანთა გაზრდილი ინტერესი საერთაშორისო საქმეებისადმი. ყველა კონტინენტის ხალხთა ფართო მასები ცდილობენ აქტიური გავლენა მოახდინონ თანამედროვე მსოფლიოს ბედ-იღბალზე.

და ეს შემთხვევითი როდია. მსოფლიო აღსავსეა რთული პრობლემებით — პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური ხასიათის პრობლემებით. რეალურად არსებობს ორი დაპირისპირებული საზოგადოებრივი სისტემა — სოციალიზმი და კაპიტალიზმი. საერთაშორისო ასპარეზზე აქტიურად მოქმედებს ათობით ახალი სახელმწიფო, რომლებსაც თავიანთი ისტორია, ტრადიციები, ინტერესები აქვთ. ესაც რეალობაა.

იმისათვის, რომ ადგილი საერთაშორისო ურთიერთობა დღევანდელ მსოფლიოში, არ შეიძლება ნგრევაში არ გაუწიო ამის, არ შეიძლება უგულებელყო სხვა სახელმწიფოთა ინტერესები, მით უმეტეს ეცადო წაართვა მათ უფლება — თვითონ აირჩიონ განვითარების საკუთარი გზა, სწორედ ეს არის ფართო გაგებით მშვიდობიანი თანაარსებობის პოლიტიკა, რომლის დროს თითოეული სისტემა დაამტკიცებს მაგალითის ძალით, და არა იარაღით, თუ რომელი მათგანია უკეთესი.

მეორე დასკვნა, რომელიც ასევე აქტუალურია, — ეს არის გამლაშებული შეიარაღების შეწყვეტის აუცილებლობა. საერთაშორისო მდგომარეობის განვითარება ისეთ ზღვარს მიადგა, როცა იბადება კითხვა: სათ ვიარით მომავალში, ხომ არ დადგა დრო, რომ მოღვაწენი, რომლებიც საბჭოეთსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს,

ჩვენი ქვეყანა ახორციელებდა და კვლავაც განახორციელებს აქტიურ და კონსტრუქციულ საგარეო პოლიტიკას შვიდოდის განმტკიცებისთვის. ეს დადასტურდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ამსწორანნდელ პლენუმზე, სადაც ჩამოყალიბებული იყო საბჭოთა სახელმწიფოს საგარეო-პოლიტიკური პრინციპები.

ᲙᲘᲗᲮᲕᲐ: მსოფლიოში ბევრ რამეს უკავშირებენ საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობის მდგომარეობას. გამოჩნდა თუ არა, თქვენი აზრით, შესაძლებლობანი მისი უკეთესობისაკენ შეცვლისათვის?

ᲞᲐᲡᲣᲮᲘ: სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთობა საერთაშორისო პოლიტიკის უაღრესად მნიშვნელოვანი ფაქტორია. მაგრამ შვიდობიას სრულიადაც არ ეუფუერებთ მხოლოდ ამ ურთიერთობის პრაზმით. ჩვენ გვესმის, თუ როგორია სხვა ქვეყნების მნიშვნელობა საერთაშორისო საქმეებში, ამას ეთვალისწინებთ მსოფლიოს საერთო ვითარების შეფასების დროს.

არის თუ არა ცალილებანი უკეთესობისაკენ საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობაში? ამას მარტივ პასუხს ვერ გასცემ. რაღაც იმედის საფუძველს გვაძლევს, მაგრამ კვლავინდებურად საკმაოდ და ბევრი რამეც არის ისეთი, რაც საგონებელში გვაგდებს.

ყველაზე დაიწყო საბჭოთა კავშირ-ამერიკის ახალი მოლაპარაკება ბირთვული და კოსმოსური შეიარაღების შესახებ. ეს დადებთი ფაქტია. ამერიკის შეერთებულ შტატებთან ერთად განესაზღვრეთ მოლაპარაკების საგანი და მიზნები, და თუ მოკლედ ვიტყვეთ, ისინი ასე განვსაზღვრეთ: არ დავიწყოთ ვამლაშებული შეიარაღება კოსმოსში, შეკუწყვეტოთ იგი დედამიწაზე, დავიწყოთ ბირთვული შეიარაღების რადიკალური შემცირება, ამასთან საბოლოო მიზნად გავიხადოთ მისი სრული ლიკვიდაცია.

ახლა ხარცი უნდა შევასახათ ამ მორიგებას. მოლაპარაკება დიდმნიშვნელოვანია. ამას უწინარეს ყოვლისა იმიტომ ვამბობ, რომ ახლა წყდება, რომელი მიმართულებით განვითარდება საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობა და საერთოდ საერთაშორისო ურთიერთობა მსოფლიოში. არჩევანი ასეთია: ან გამლაშებული შეიარაღება ყველა მიმართულებით, ომის საფრთხის ზრდა, ან საყოველთაო უშიშროების განმტკიცება, უფრო მყარი შვიდობა ყველასათვის.

არის რაღაც ძვრები საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობის

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ

კადრებთან მუშაობა ახალი ამოცანების დონეზე

ᲛᲝᲠᲘᲒᲘ სხდომა გამართა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საკოორდინაციო საბჭომ კადრებთან მუშაობის საკითხებზე. სხდომას თავმჯდომარეობდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ე. ა. შევარდნაძე.

სხდომაზე მოისმინა საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს ინფორმაცია ბრიგადირებთან, როგორც შრომითი კოლექტივების მართვის პირველადი რგოლის ხელმძღვანელებთან, მუშაობეს შესახებ. აღინიშნა, რომ სამინისტრომ გეგმაზომიერი მუშაობა წარმოებს კადრების შერჩევის, განაწილებისა და აღზრდისათვის ხელმძღვანელობისა და მართვის სხვადასხვა დონეზე, კერძოდ, ბრიგადების დონეზე. სამინისტროს კოლეგიამ შეიმუშავა და ახორციელებს კონკრეტულ ღონისძიებებს, რომლებიც ხელს უწყობენ საკადრო მუშაობის გაუმჯობესებას, სისტემატურად განიხილავენ დისციპლინის განმტკიცების, დენადობის შემცირების, მასობრივ პროფესიათა კადრებისა და ახალგაზრდა სპეციალისტების ეფექტიანი გამოყენების საკითხებს. შენგნელობისა და სასოფლო მშენგნლობის სამინისტროებსა შორეულ სამინისტროებსა და დაკავშირებით შემუშავებულია ახალი ორგანიზაციულ-მმართველობითი სტრუქტურა და დარგის შენრნსმორეული განვითარების გენერალური სქემა ტერიტორიულ-დარგობრივი პრინციპის გათვალისწინებით. შექმნილია მშენებელთა ერთიანი კოლექტივი, დასახულია დასაწინაურებელი რეზერვის ქმედითი ფორმირების ღონისძიებანი და ა. შ.

შრომითი რესურსების რაციონალური გამოყენება, შრომის ნაყოფიერების ზრდა და მუშათა დაინტერესების გაძლიერება დაუკავშირდა შრომის ორგანიზაციის ბრიგადული ფორმების დანერგვას. იქ, სადაც ბრიგადები სტაბილურია, შეიმჩნევა, მშენებლობის თვითღირებულების შემცირების, ხარისხის გაუმჯობესების ტენდენცია. ამ სამს წარმატებანი დიდად არის დამოკიდებული ბრიგადირთა სწორ შერჩევაზე, მათთან მუშაობაზე, ბრიგადების ხელმძღვანელთა როლისა და ავტორიტეტის გაზრდაზე.

სხდომამ აღნიშნა, რომ ბრიგადული სამეურნეო ანგარიშის ბაზარეცელებლად სამინისტროს მიერ გაწეული მუშაობის მიუხედავად, მის ქვეგანაყოფებში ჯერ კიდევ არასაკმარისად გამოიყენება შრომის ორგანიზაციისა და სტიმულირების პროგრესული ფორმის უპირატესობანი. მშენებლობის სამინისტროს რჩევა მიეცა განსაკუთრებული ყურადღება მიაპყროს დასაწინაურებელი რეზერვის ფორმირებას, ხელმძღვანელი შემადგენლობის კადრებისა და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკების ატესტაციას, ბრიგადული ორგანის ძირითადი ფორმების დანერგვის ფედერალური, ბრიგადული ორგანის ძირითადი ფორმების ფართოდ დანერგვის საკითხეს და ა. შ.

მოისმინეს ინფორმაცია კადრების შერჩევის, განაწილების, მომზადებისა და ფასიერების ვასაუმჯობესებლად მიმდინარე მუშაობის შესახებ, რომელსაც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1979 წლის XVII პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად ეწევიან ხე-ტყისა და ხის დამამუშავებელი მრეწველობის სამინისტროს სისტემაში. საკადრო მუშაობის ძირითადი უბნებისადმი ყურადღების გაძლიერებამ ხელი შეუწყო დარგს შესრულებინა მეთვრამეტე ხუთწლედის წლიური დავალებანი და ვალდებულებანი. კადრების პოტენციალის შეფასების, მათი განაწილების, კადრების პასუხისმგებლობისა და იდეურ-პოლიტიკური მომზადების დონის გამოვლენისათვის გარკვეული მნიშვნელობა აქვს ცენტრალური აპარატის საგეგმო-ეკონომიკური სამსახურების და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა, ხელმძღვანელი შემადგენლობის ატესტაციას.

(**ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘ** ᲛᲔ-2 ᲒᲕ.).

ხელმძღვანელი კადრების სწავლება

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ხელმძღვანელთა კვალიფიკაციის ამაღლების ცენტრში დამთავრდა მსმენელთა მორიგი ნაკადის — საქართველოს კომპარტიის საკალაქო და რაიონული კომიტეტების პირველი მდივნების, ცენტრალური კომიტეტისა და სოფლის კომიტეტების პასუხისმგებელი მუშაკების ჯგუფის მეცადინეობა.

მეცადინეობის დროს მსმენელთა წინაშე გამოვიდნენ პარტიული და საბჭოთა ხელმძღვანელები, სახალხო მეურნეობის სოციალისტები, რესპუბლიკის თვალსაჩინო მეცნიერები, რომლებმაც თავიანთი ლექციებსა და მოხსენებებში გააშუქეს ისეთი აქტუალური საკითხები, როგორიც არის განვითარებული სოციალიზმის თეორია და პრაქტიკა, პარტიის ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკა სკკპ XXVI ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმების გადაწყვეტილებების, სკკპ ცენტრალური კომიტეტის რეგიონალურ კომიტეტების ძალაუფლებების, სკკპ ცენტრალური კომიტეტის ბიუროს ამა — საბჭოთა კავშირი უწესებს მორატორიუმს თავისი საშუალო სიშორის რაკეტების განლაგებას, აჩერებს სხვა სპასუხო ღონისძიებათა განხორციელებას ევროპაში. მორატორიუმის მოქმედების ვადა მიმდინარე წლის ნოემბრამდე. თუ არა გადაწყვეტილებას მივიღებთ ამის შემდეგ, დამოკიდებული იქნება იმაზე, მიბაძავს თუ არა ამერიკის შეერთებული შტატები ჩვენს მაგალითს: შეაჩერებს თუ არა თავისი საშუალო სიშორის რაკეტების განლაგებას ევროპაში.

დასასრულ, ასე შევაჯამებ. საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობის გაუჯობესების, მთლიანად საერთაშორისო ვითარების გაჯანსაღების შესაძლებლობანი არის. ეს შესაძლებლობანი ხელიდან არ უნდა გავუშვათ. და ამან კონკრეტული ნაბიჯებიკის, პრაქტიკულ გადაწყვეტილებათა სახე უნდა მიიღოს.

ᲛᲝᲬᲘᲜᲐᲕᲔᲗᲐ ᲛᲮᲐᲠᲓᲐᲛᲮᲐᲠ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ ი. ბ. სტალინის სახელობის ელექტროგაგონშემკეთებელი ქარხნის კოლექტივმა ფართოდ გაზალა სოციალისტური შეჯიბრება დიადი გამარჯვების 40 წლისთავის, სტახანოვური მოძრაობის 50 წლისთავის, სკკპ XXVII ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის ღირსეული შეხვედრისათვის. აქ გადაჭარბებით სრულდება პროდუქციის გამოშვებისა და მისი რეალიზაციის თვის გეგმები. შესაბამისად იზრდება შრომის ნაყოფიერება. გთოვალისწინებულზე მეტი დამზადდა ფართო მოხმარების საგნები.

ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲗ: ქარხნის № 10 საამქროს მოწინავე ხარატი ზ. ხითარიძე.

თ. ნიკოლაიშვილის ფოტო.

ორგანიზებული შრომით

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ პროფსაბჭოში გაიმართა ვ. ი. ლენინის დაბადების 115 წლისთავისადმი მიძღვნილი საკავშირო კომუნისტური შაბათობის მომწყობი რესპუბლიკური შტაბის სხდომა, შტაბის ხელმძღვანელმა, საქართველოს პროფსაბჭოს მდივანმა ლ. ხარაძეიმ გაზეთ „კომუნისტის“ კორესპონდენტთან საუბარში განაცხადა:

ᲐᲛ ᲓᲦᲔᲔᲑᲨᲘ ᲩᲕᲔᲜ სისტემატურად ვიღებთ ინფორმაციებს შრომითი კოლექტივებისაგან. საოჯახო, საქალაქო, რაიონული და დარგობრივი შტაბებისაგან. სამრეწველო საწარმოების, სამშენებლო და სატრანსპორტო ორგანიზაციების, სახალხო მეურნეობის სხვა დარგების მუშაკები ემზადებიან, რათა შაბათობა შრომის უმაღლესი ნაყოფიერებით აღნიშნონ. ამ დღეს მრავალი მათგანი იმუშავებს დაზოგილი ნედლეულით, მასალებითა და სათბობ-ენერგეტიკული რესურსებით.

საწარმოები კისრულობენ გადიღებულ ვალდებულებებს. მაგალითად, საწარმოო გაერთიანება „ქიმბოჭკოს“ ოპერატორმა ციანანა ქამუშაძემ გადაწყვეტა შაბათობაზე ორი დღის სამუშაო ნორმა შეასრულოს. საწარმოში მომუშავეთა უმრავლესობამ მას ერთსულოვნად მხარი დაუჭირა.

საწარმოო გაერთიანება „საქპოლიმერკონტეინერის“ შვიდეულებელი ნ. გამყრელიძე ოთხი თვის გეგმას 20 აპრილისათვის შეასრულებს. ამ ინიციატივას მთელი კოლექტივი გამოეხმაურა. ამ დღეს ოთხი თვის საწარმოწიფო გეგმას საწარმოო გაერთიანება „საქსამთოფქმმრეწველობა“ და „საქყოფქმიის“ კოლექტივებიც შეასრულებენ. რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მშრომელები დაამზადებენ 3640 ტონა ლითონს, 1500 ტონა თუჯს, 1860 ტონა კოქსს, 1700 ტონა მილებს.

შაბათობის მოწყობის ავანგარდშია ამიერკავკასიის რკინიგზის მთელი კოლექტივი. სამტრედიის სავაგონო დეპოს დამამზადებელი სამქროს მუშებმა დ. ვაშაკიძემ, შ. ბოლქვაძემ, რ. ხანსალიამ და სხვებმა ვალდებულება იკისრეს ორი დღის სამუშაო ნორმა შეასრულონ. რკინიგზისა და სატრანსპორტო მშენებლობის 126 საწარმო იმუშავებს დაზოგილი მასალებით და სათბობ-ენერგეტიკული რესურსებით. თბილისის ლენინის სახელობის ელმავალსაშენებელი ქარხნის კოლექტივი „ვლ-15“ ელმავლის დეტალებსა და ვაგონებს აწყობს და იმუშავებს მხოლოდ წლის დამდეგიდან დაზოგილი მასალებით. ქუთაისის ორჭონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხანაში 300-ზე მეტი ქალი ცვლის დაგალებებს 200 პროცენტით შეასრულებს.

დიდი მოცულობის სამუშაოთა შესრულება იკისრეს 20 აპრილს მახარაძის, წალეს, ბოგდანოვკის, მარნეულის, გარდაბნისა და სხვა რაიონების სოფლის მეურნეობის მშრომელებმა. ზოგიერთ მეურნეობაში ამ დღეს დაამთავრებენ ნიადაგის თესვისწინა დამუშავებას, დაიწყებენ კარტოფილის, სვაგაზფხლეო კულტურების თესვას, მიწათმოქმედებს შესანიშნავად ესმით, რომ სწორედ ახლა უნდა ჩაუყაროთ საფუძველი მომდინარე წლის უხვ მოსავალს.

ამ დღეს ქალაქების მეცხოვრებლები დაეხმარებიან მშენებლებს, რომლებიც ახალ სამრეწველო ობიექტებს აგებენ. მნიშვნელოვანი სამუშაოები შესრულდება რუსთავის „აზოტისა“ და „ქიმბოჭკოს“ საწარმოო გაერთიანებებში, ხუდონისა და ფინეთის ჰიდროელექტროსადგურებზე, რკინიგზის ბაზის მეორე ლიანდაგის გაყვანაზე.

საწარმოების, ორგანიზაციების, დაწესებულებების ხელმძღვანელები, პროფკავშირული კომიტეტების წინაშე დასახულია ამოცანა ყველაფერი იღონონ იმისათვის, რომ კომუნისტური შაბათობის დღე ნამდვილად გახდეს შრომის უმაღესი ნაყოფიერების დღე.

მშრომელთა ენთუზიაზმმა, პოლიტიკურმა და შემოქმედებითმა აღმავლობამ ხელი უნდა შეუწყოს მომდინარე წლის ოთხი თვისა და მეთერთმეტე ხუთწლედის დამამთავრებელი წლის სახელმწიფო გეგმების და ვალდებულების უფუო შესრულებას.

20 აპრილს კომუნისტურ შაბათობაზე გამოვა რესპუბლიკის მთელი შრომისუნარიანი მოსახლეობა. ამ დღეს დამზადდება 34.510 ათასი მანეთის პროდუქცია, ხუთწლედის ფონდში გამომშვებელი ხელფასადან 3504,87 ათასი მანეთი გადაირიცხება.

საქართველოს კომპარტიის სარეკვიზიო კომისიაში

ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲗᲐ საქართველოს კომპარტიის სარეკვიზიო კომისიის მორიგი სხდომა. იგი განხილა სარეკვიზიო კომისიის თავმჯდომარემ ი. ხაზარაძემ.

სხდომაზე მოისმინეს საქართველოს კომპარტიის სარეკვიზიო კომისიის წევრების — აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ვ. კობაჩიასა და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ნ. ფოფხაძეს, ოქტემბრისა და გარდაბნის რაიონებში, სადაც გაეცნენ ტერიტორიულ-დარგობრივი მართვის ექსპერიმენტებს, კადრებთან, არჩევითს აქტივთან მუშაობის, მიღებულ გადაწყვეტილებათა კონტროლისა და შესრულების ორგანიზაციის, სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების ფართოდ დანერგვის გამოცდილებას.

რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიაში აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი ე. კ. ხარაძე და პრეზიდიუმის წევრები მსმენელებს ესაუბრნენ მეცნიერებათა აკადემიის ინსტიტუტების სამეცნიერო საქმიანობის ძირითად მიმართულებებზე, წარმოებასთან მეცნიერების კავშირის განმტკიცებაზე.

კომკავშირულ ქალაქ ბორის ძნელაძემ მსმენელები შეხვედნენ საქართველოს ალაკ ცენტრალური კომიტეტის მდივნებს, იმსჯელეს კომკავშირისადმი პარტიული ხელმძღვანელობის აქტუალურ საკითხებზე.

სწავლების მანძილზე მსმენელთა წინაშე გამოვიდნენ ამხანაგები გ. ა. ანდრონიკაშვილი, გ. ნ. ეზუაძე, ბ. ვ. ნიკოლაკი, ჯ. ი. პატაშვილი, დ. ლ. ქართველიშვილი, ზ. ა. ჩხეიძე, ნ. ა. ჭითაშვილი, ს. ე. ხაბეიშვილი, ე. კ. ზარტაკი, საქართველოს სსრ უმაღესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე ვ. მ. სირაძე, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ო. გ. ვარძელაშვილი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის განყოფილების გამგე ბ. ზ. ბარსუკოვი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული კომისიის თავმჯდომარე შ. ვ. ყარყარაშვილი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკები, რესპუბლიკის სამინისტროებისა და უწყებების, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისა და შემოქმედებითი კავშირების ხელმძღვანელები.

მსმენელებს ესაუბრნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტორის გამგე მ. პ. ჩემოდანოვი, სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული საზოგადოებრივ მეცნიერებათა აკადემიის პროორექტორი ლ. ნ. პონომარიოვი და აკადემიის მასწავლებელთა ჯგუფი.

დასასრულ მსმენელებს შეხვდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ე. ა. შევარდნაძე.

საუბრის დროს განიხილეს მომავალი სკკპ XXVII ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის მზადებასთან დაკავშირებით რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციების წინაშე მდგომი საკითხები.

აღინიშნა ისეთი საკითხთა აქტუალურობა, როგორიცაა ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის სრულყოფა, პარტიული კომიტეტებისა და პირველადი პარტორგანიზაციების მებრძოლურობის გაძლიერება, ეკონომიკის ხელმძღვანელობისათვის, მაღალი ეკონომიკური მაჩვენებლების მიღწევისათვის მათი პასუხისმგებლობის გაფართოება, დემოკრატიზმის გაღრმავება, პარტიული, სახელმწიფო, შრომის, საშრმსრულებლო და ფინანსური დისციპლინის განმტკიცება.

რესპუბლიკის პარტიული კომიტეტების ყურადღება მიეპყრო მეთორმეტე ხუთწლედის გეგმების ის ჩამოყალიბება და მათს განხილვაში საგეგმო ორგანიზაციის სპეციალისტებისა და მშრომელთა ფართო მასების ჩაბმას.

მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმო სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოების აღმასკომებთან არსებული საგეგმო კომისიების ფუნქციებისა და უფლებების გაფართოების, ქალაქებისა და რაიონების ბიუჯეტების ჩამოყალიბებაში საკადრო დაქვემდებარების საკითხთა მოსაწესებლის საკითხებს. აღინიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ისეთ საკითხებს, როგორიცაა რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანებების ყველა რგოლის, ტერიტორიულ-დარგობრივი მართვის ორგანობების ნიმდგომი სრულყოფა, შრომის ორგანიზაციისა და სტიმულირების პროგრესული ფორმების დანერგვა, სოფლტექნიკის სასსახურების მაქსიმალური გამოყენება, სამეურნეო ანგარიშის განმტკიცება, საწარმოო ფონდების გამოყენების გაუმჯობესება, სახელმწიფოსადმი ვალდებულებათა შესრულება.

ხაზი გაესვა იმას, რომ უნდა გაკეთდეს მუშაობა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესისადმი ხელმძღვანელობისათვის, შრომის მეცნიერული ორგანიზაციის დანერგვისათვის, შრომითს კოლექტივებში შრომისადმი კეთილსინდისიერი, შემოქმედებითი დამოკიდებულების ატმოსფეროს შექმნისათვის.

შეხვედრის დროს აღინიშნა, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XXI პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად რესპუბლიკის პარტიულმა კომიტეტებმა ნიადაგ უნდა სრულყონ კადრების შერჩევის, განაწილებისა და აღზრდის, მათი რეზერვის ჩამოყალიბების სისტემა, გაზარდონ პარტიულ-პოლიტიკური, იდეურ-აღმზრდელობითი და იდეოლოგიური მუშაობის დონე, იმუშაონ შრომითს კოლექტივებში მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის გაჯანსაღების, სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგისათვის, ნებაყოფილ მოლენების დროულად თავიდან აცილებისათვის ბრძოლის გაკეთურების საკითხების გადასაწყვეტად.

შეხვედრაზე განსაკუთრებით გაესვა ხაზი იმას, რომ თანამედროვე პარტიული ხელმძღვანელი სერიოზულ ყურადღებას უნდა უთმობდეს ლიტერატურის, ხელოვნების, კულტურის საკითხებს, უფრო აქტიურად იყენებდეს მათს შესაძლებლობებს შრომელთა კომუნისტური აღზრდის საქმეში.

(საქინფორმი).

კადრებთან მუშაობა — ახალი ამოცანების დონეზე

(დასასრული)

ამასთანავე საკოორდინაციო საბჭომ აღნიშნა კადრებთან მუშაობაში არსებული მთელი რიგი ნაკლოვანებანი. მაგალითად, სრულად არ არის გამოვლენილი შრომის ანაზღაურების ორგანიზაციის ბრიგადული ფორმის ძირითადი უპირატესობანი ბრიგადის წევრთა შორის. სამეურნეოანგარიშიან ბრიგადებს, ჩვეულებრივ, არა აქვთ თვითღირებულების შემცირებისა და შრომის ნაყოფიერების ზრდის კომპლექსური გეგმები, რაც გავლენას ახდენს მათი მუშაობის ეფექტიანობაზე. ყველა ძირითადი ასპექტის მიხედვით კადრებთან მუშაობა შემდგომ გაუმჯობესებას მოითხოვს.

სამინისტროს რჩევა მიეცა განავრცოს შრომის ორგანიზაციის ბრიგადული ფორმების დანერგვა. უნდა განხორციელდეს ღონისძიებანი მათი თვალსაჩინო პროპაგანდისათვის, რათა ბრიგადის ყოველი წევრი აქტიურად მონაწილეობდეს შრომითს საქმიანობაში, ერკვეოდეს შრომისა და საბოლოო შედეგების მიხედვით ანაზღაურების, განაწილების საფუძვლებში.

საბჭომ მოისმინა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის განყოფილების კადრების აღრიცხვისა და გადამზადების სექტორისა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ხელმძღვანელების კვალიფიკაციის ამაღლების ცენტრის ინფორმაცია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ნომენკლატურულ კადრებთან ინდივიდუალური მუშაობის შესახებ და ურჩია ცენტრალური კომიტეტის განყოფილებებს, კვალიფიკაციის ამაღლების ცენტრს სრულყონ ამ მუშაობის ფორმები და მეთოდები. ამ მიზნით უფრო სრულად უნდა იქნეს გამოყენებული გასაუბრების, სტაჟირების, პარტიულ დახასიათებათა დამტკიცების პრაქტიკა თითოეული ნომენკლატურული მუშაკის სწავლების ძირითად მიმართულებათა განსასაზღვრად.

პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს რჩევა მიეცათ გააფართოონ და სრულყონ კადრების ინდივიდუალური სწავლების პრაქტიკა, დანერგონ პლენუმებსა და ბიუროს სხდომებზე ნომენკლატურულ მუშაკთა ანგარიშგების მოსმენა ინდივიდუალური სწავლების მიმდინარეობის შესახებ.

რესპუბლიკაში შეძენილია გარკვეული გამოცდილება პროფკავშირული მუშაობის საქალაქო და რაიონული საკოორდინაციო საბჭოების შექმნის საქმეში, რაც პროფკავშირთა მუშაობაში საზოგადოებრივი საწყისების შემდგომი განვითარების ერთ-ერთ ეფექტიან ფორმას წარმოადგენს. ამის შესახებ ინფორმაცია მოსმენილ იქნა საბჭოს სხდომაზე. საბჭომ მხარი დაუჭირა საქართველოს პროფსაბჭოს ინიციატივას და აღნიშნა, რომ ეს არის პროფკავშირთა მუშაობის დონის შემდგომი ამაღლების ერთ-ერთი ეფექტიანი ფორმა, რომლის მიზანია უზრუნველყოს პროფკავშირულ ორგანიზაციათა ძალისხმევის კოორდინაცია რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საკითხთა გადაწყვეტაში. საბჭოები უფრო ეფექტიან გავლენას უნდა ახდენდნენ პროფკავშირულ ორგანიზაციათა მებრძოლურობის გაძლიერებაზე, აქტიურად აზოგადებდნენ და ავრცელებდნენ დადებითს გამოცდილებას, უწევდნენ კონტროლს დირექტიული ორგანოების დადგენილებათა შესრულებას და ა. შ.

პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს, საქართველოს პროფსაბჭოს წინადადება მიეცათ ყოველმხრივ დაეხმარონ და შეუწყონ ხელი საკოორდინაციო საბჭოებსა და დარგობრივი პროფკავშირების კომიტეტებს მუშაობის სტილის, ფორმებისა და მეთოდების შემდგომ სრულყოფაში, ინიციატივიანი, კომპეტენტური მუშაკებით მათი აპარატის განმტკიცებაში.

საბჭოს სხდომაზე გამოვიდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი გ. ა. ანდრონიკაშვილი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის განყოფილების გამგე ჟ. კ. შარტავა, მთელი რიგი სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელები.

სხდომის შედეგები შეაჯამა ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ.

საბჭოს სხდომაში მონაწილეობდნენ ამხანაგები გ. ნ. ენუქიძე, ბ. ვ. ნიკოლსკი, ზ. ა. ჩხეიძე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე ვ. მ. სირაძე, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვ. გ. ლორთქიფანიძე, საქართველოს პროფსაბჭოს მდივანი ზ. ა. კვაჰაძე. (საქინფორმი).

საქართველოს სსრ მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს პირველი სესია

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კანონი

საქართველოს სსრ ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცების თაობაზე

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები:

1985 წლის 4 იანვრისა „საქართველოს სს რესპუბლიკაში მსჯავრდებულებზე შრომა-გასწორებითი ზემოქმედების ღონისძიებებთან დაუკავშირებელ სისხლისსამართლებრივ სასჯელთა აღსრულების წესისა და პირობების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“;

1985 წლის 4 იანვრისა „საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“;

1985 წლის 18 თებერვლისა „საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო და სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსებში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ“;

1985 წლის 27 თებერვლისა „საქართველოს სსრ ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ“;

1985 წლის 11 მარტისა „საქართველოს სსრ ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1985 წლის 5 აპრილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილება

საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის შექმნის შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

შეიქმნას საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტი შემდეგი შემადგენლობით:

საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარე

მელქაძე ოთარ ვალერიანის ძე.

საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე

ღლონტი ოთარ იპატის ძე

საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე

თავზარაშვილი ვალენტინ გრიგოლის ძე

საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის წევრები:

აბასოვა ჯამეილა მაგარამ ყიზი — მარნეულის რაიონის ყულარის მეღვინეობის საბჭოთა მეურნეობის მექანიზატორი.

დავითაშვილი მიხეილ დანიელის ძე — გაზეთ „სოფლის ცხოვრების“ რედაქტორი.

კეჭკეჭიშვილი ელგუჯა კონსტანტინეს ძე — საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული კომისიის წევრი.

კვარაცხელია გრამიტონ რაჟდენის ძე — საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილების გამგე.

ლაბახუა ზურაბ აკაკის ძე — საქართველოს პროფსაბჭოს მდივანი.

მირზოიანი არმენ ლევონის ძე — საწარმოო გაერთიანება „ჩარხმშენებლის“ თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელი ქარხნის მღარავი.

ფოფხაძე ნუგზარ აკაკის ძე — საქართველოს სსრ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე.

ქემერტელიძე ეთერ პეტრეს ასული — ი. გ. ქუთათელაძის სახელობის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი.

შჩერბაკოვი ალექსანდრე ივანეს ძე — საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი.

ჯანჯღავა ვარლამ სოსრამის ძე — საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის თბილისის საქალაქო კომიტეტის თავმჯდომარე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1985 წლის 6 აპრილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილება

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს არჩევის შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

არჩეულ იქნეს საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლო შემდეგი შემადგენლობით:

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე

კარანაძე აკაკი გრიგოლის ძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილეები:

ედიშერაშვილი ვალერიან ალექსანდრეს ძე.

დევდარიანი გრიგოლ გრიგოლის ძე.

ყოლბაია გიორგი ნიკოლოზის ძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრები:

ბახტაძე გივი ივანეს ძე

ბებია ორდე სარდიონის ძე

ბეჟანოვა ლეილა მეჟაბუკის ასული

ბოჭორიშვილი ლენგერ ამბროსის ძე

გელუკაშვილი ლილი გიორგის ასული

გერხამია თეიმურაზ ვალერიანის ძე

გოგილაშვილი ივანე ზაქარიას ძე

დოლიძე მირზა ამირანის ძე

დონჯაშვილი თამაზ ირაკლის ძე

ვალიევი ხაჯიმურატ დიმიტრის ძე

თორდია ვახტანგ ვალერიანის ძე

იხაევი ყურბან გასრათის ძე

იხაკაძე ლამარა პარმენის ასული

ნახარიძე ნოდარ დავითის ძე

ფაფიაშვილი შოთა გიორგის ძე

ჟორდანია ივანე შალვას ძე

რუსიაშვილი ჯუმბერ ვალერიანის ძე

სარჯიხოვა ელენე რუბენის ასული

საყვარელიძე ლეონიდე მიხეილის ძე

სორდია-შევცოვა ლამარა პროკოფის ასული

ტყეშელაშვილი იური ილიას ძე

ქარხელაძე მზექალა ბეწინიკას ასული

ქრისტესიაშვილი ივანე ნიკოლოზის ძე

ღულუნიშვილი ალექსანდრე არსენის ძე

ყიფიანი ჯიმი კონსტანტინეს ძე

ყრუაშვილი თამარ სოლომონის ასული

ჩიქოვანი თამარ პიჟიკოს ასული

ცინცაძე რევაზ შალვას ძე

ცირამუა გივი სტეფანეს ძე

ციხკარიშვილი ჯემალ შალვას ძე

წაქაძე ჯუდუ ვარდენის ძე

წიქორიძე ნოე ალექსის ძე

ხაბულიანი გიორგი ბუღიას ძე

ხმალაძე რამაზ ვასილის ძე

ხონიაკინა ადელინა ივანეს ასული

ჯიბლაძე ოთარ ალექსანდრეს ძე

საქართველოს სსრ სასამართლო წყობილების შესახებ კანონის 53-ე მუხლის შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს შემადგენლობაში თანამდებობის მიხედვით შედიან აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უმაღლესი სასამართლოების თავმჯდომარეები, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო სასამართლოს თავმჯდომარე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1985 წლის 6 აპრილი.

შინ მიტანით

აგრომრეწვი: ეკონომიკის რეზერვები

უკვე ორი წელია, რაც საქართველოში ექსპერიმენტის წესით მოქმედებს სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტი. იგი სამი ყოფილი უწყების — სოფლის მეურნეობის სამინისტროს, მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს და საქსოფლტექნიკის ბაზაზე შეიქმნა. „პრავდა“ უკვე წერდა კომიტეტის პირველ ნაბიჯებზე, ახალ პირობებში აგროსამრეწველო გაერთიანებათა მუშაობაზე. წინამდებარე კორესპონდენცია გვიამბობს იმის შესახებ, თუ როგორ ხორციელდება საუწყებათშორისო საფუძველზე სოფლის მატერიალურ-ტექნიკური მომარაგება.

კომიტეტის ხელთაა ისეთი დიდმნიშვნელოვანი ბერკეტები, როგორიცაა დაგეგმვა და მომარაგება. ამ უპირატესობებს ახალი ორგანოს თვით ორგანიზაციული სტრუქტურა შეიცავს.

როგორ იყო წინათ? ვთქვათ, მანქანები სოფლის მეურნეობის სამინისტროს ეკუთვნოდა, ხოლო მათი მუშაობის უნარის უზრუნველსაყოფი რესურსები — საქსოფლტექნიკას. ახლა სახსრებისა და ფინანსების ცენტრალიზაციის, მათი უფრო რაციონალური განაწილების, მეურნეობათა მოთხოვნილებების უფრო სრულად დაკმაყოფილების შესაძლებლობანი შეიქმნა.

რესპუბლიკის სოფლების მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სისტემას ბევრი მანკი სჭირდა. როგორც იტყვიან, სათანადო სიმაღლეზე ის კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები იყო, რომელთა ხელმძღვანელებსაც ფონდების „გამოგლეჯვის“ უნარი შესწევდათ. საქმე ხშირად პირდაპირ მოტყუებამდე, თაღლითობამდე მიდიოდა. ზოგ მეურნეობას ტექნიკა და მისი სათადარიგო ნაწილების ზედმეტი ჰქონდა, ზოგს — არ ჰყოფნიდა. ხშირად ხელმძღვანელები და სპეციალისტები, იმის ნაცვლად, რომ უშუალო მოვალეობანი შეესრულებინათ, „გამაიმასქნებელის“ როლს ასრულებდნენ.

გორის რაიონის ერთ-ერთი საბჭოთა მეურნეობის ინჟინერმა წლის მანძილზე 131 დღე ასეთ მიმოსვლას მოანდომა. მისი სასამსახურო მანქანის სპიდომეტრმა ათი ათასამდე კილომეტრი აღნიშნა. ახალქალაქის რაიონის სოფელ კარტიკამის საბჭოთა მეურნეობის მუშაკებმა 1981 წელს სათადარიგო ნაწილების „შოვნაზე“ 689 კაცდღე დახარჯეს. ასეთი, ბევრი ფაქტის მოყვანა შეიძლება.

როცა მომარაგების სისტემა სასოფლო-სამეურნეო ორგანოების შემადგენელი ნაწილი გახდა, „დეფიციტი“ შემცირდა. მაგრამ კომიტეტში ამასაც არ დასჯერდნენ: გადაწყვიტეს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სამსახური მთლიანად დაექვემდებარებინათ მეურნეობათა ინტერესებისათვის.

როგორ გამოიყურება პრაქტიკულად მომარაგების სისტემა? კომიტეტი რესურსებს გამოუყოფს ყოველ რაიონულ აგროსამრეწველო გაერთიანებას. გაერთიანება თავის მხრივ წყვეტს, რომელ მეურნეობას და რამდენი გამოუყოს ესა თუ ის საშუალებანი და ფონდები.

ამით მთავრდება რაიონის აგროსამრეწველო გაერთიანებისა და მეურნეობათა საქმიანობა მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის მხრივ. კომიტეტი კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს შესაბამის სარეალიზაციო ბაზებს მიამაგრებს. ისინი კი, როგორც კი რესურსებს მიიღებენ, აღარც ანაზღაურებას ელოდებიან, აღარც თხოვნა-ხვეწნას, აღარც შეხსენებას, აღარც დამატებითს მითითებებს, და ამ რესურსებს მეურნეობებს მიუტანენ.

— თავიდან, არ დავმალავ, ჩვენ რამდენადმე გვეეჭვებოდა ცენტრალიზებული მომარაგების ეფექტიანობა, — იხსენებს მახარაძის რაიონის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი გ. წითლიძე. — ვფიქრობდით, „გასწვდება“ კი კომიტეტი ყველა მეურნეობას? ახლა დავრწმუნდით — კოლმეურნეობა პრაქტიკულად იღებს ყველაფერს, რაც დაგეგმილი აქვს.

მაშ ასე, მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით მეურნეობათა მომარაგება გაუმჯობესდა. ეს — საქმის ერთი მხარე. შემცირება იწყო მათმა ზენორმატიულმა ნაშთებმა, რომლებიც მთლიანად რესპუბლიკაში 126 პროცენტს აღწევდა.

მაგრამ როგორ მიაღწიეს იმას, რომ სარეალიზაციო ბაზები მეურნეობებს საქონელს უგზავნიან და არც კი ელოდებიან ანაზღაურებას? ხომ არ წარმოიქმნება ამ დროს დებიტორული დავალიანება? საქმეც ის გახლავთ, რომ არავითარი დავალიანება აღარ იქნება, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, ფინანსთა სამინისტრომ და საბჭოთა კავშირის სახბანკის რესპუბლიკურმა კანტორამ ხელი გაუმართეს ახალ კომიტეტს და შეცვალეს ტექნიკისათვის, სათადარიგო ნაწილებისა და სხვა რესურსებისათვის ანგარიშსწორების წესი. სამისოდ გამოყოფილი მეურნეობათა სახსრები (ამაში შედის საკუთარი ფინანსებიც, ბანკის გრძელვადიანი კრედიტებიც) მთელ რესპუბლიკაში გააერთიანეს. შარშანდელ წელს ეს დაახლოებით 70 მილიონ მანეთს შეადგენდა და სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის განკარგულებაში იყო. ახლა მეურნეობებს აღარ სჭირდებათ მიმწოდებლებთან ანგარიშსწორება. ამ საქმეს კომიტეტში შექმნილი საფინანსო-საბუღალტრო სამმართველო განაგებს.

რა თქმა უნდა, ცენტრალიზებული მიწოდება სარეალიზაციო ბაზების მწყობრ მუშაობას მოითხოვს. ეს ბაზები გამსხვილებული და სპეციალიზებულია. შემცირდა მათი სამმართველო პერსონალი, ტვირთის უმიზნო გაგზავნა-გამოგზავნა, ამაღლდა მექანიზაციის დონე.

როცა ცენტრალიზებული მიწოდების დანერგვა დაიწყეს, მწვავედ დადგა ტრანსპორტის საკითხიც. ყოველ რაიონში რამდენიმე წვრილი საუწყებო ავტოსატრანსპორტო საწარმო იყო. გადაწყდა გაეუქმებინათ სუსტი ავტომეურნეობანი და მათ საფუძველზე შეექმნათ მსხვილი თანამედროვე ავტოკოლონები. ამან სამმართველო პერსონალის მნიშვნელოვანი ნაწილი გამოათავისუფლა, შეიქმნა ტვირთზიდვის სამსახურის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. ამჟამად რესპუბლიკაში 38 მსხვილი სატრანსპორტო საწარმოა.

მეურნეობებმა უკვე მიიღეს 25 ათას ერთეულზე მეტი სხვადასხვა ტექნიკა. მიწოდებათა ნომენკლატურა თანდათან ფართოვდება. შემუშავდა კომბინირებული საკვებით, სასუქებით, ქიმიკატებითა და სათბობით კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ცენტრალიზებული მომარაგების სისტემა. ყოველივე ამას უკვე აწვდიან წითელწყაროს, აბაშის, სამტრედიისა და ზოგიერთი სხვა რაიონის აგროსამრეწველო გაერთიანებებს; სახელმწიფო კომიტეტმა რესპუბლიკის დამზადების სამინისტროს საწარმოებს კომბინირებული საკვების ცენტრალიზებული გადაზიდვისათვის უკვე მიამაგრა სპეციალიზებული ტრანსპორტი.

— ერთი მხრივ, რაიონულ აგროსამრეწველო გაერთიანებებს დიდი უფლებები მიანიჭეს რესურსების განაწილებაში, — ამბობს გორის რაიონის აგროსამრეწველო გაერთიანების საბჭოს თავმჯდომარე ვ. ხუციშვილი, — მეორე მხრივ კი ხელ-ფეხი გაგვიხსნეს და ახლა თავისუფალი ვართ მომარაგებასთან დაკავშირებული გაუთავებელი ფაციფუცისაგან. ამჟამად მოქმედი, ასე ვთქვათ, „შინ მიტანით“, მომარაგების მექანიზმი, შეუფერხებლად მუშაობს.

რა მისცა ამან მთელ დარგს? ვკითხე სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეს რ. კაკულიას:

— წინასწარი გამოანგარიშებით, — გვიპასუხა მან, — მომარაგების ახალი სისტემა წელიწადში სამ მილიონ მანეთზე მეტს გვიზოგავს. საქონლის ბრუნვადობა 1984 წელს წინა წელთან შედარებით ოთხი დღით დაჩქარდა. შემცირდა მეურნეობებში რესურსების მიტანის ხარჯები. იკლო დებიტორულ-კრედიტორულმა დავალიანებამ. და რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია: ახლა ზედმეტი ტექნიკა აღარ მიაქვთ არც ერთ მეურნეობაში იმის გულისთვის, რომ საქონელბრუნვის გეგმა შეასრულონ.

ცხადია, ახალ საქმეს სიძნელეები, პრობლემები შეექმნა. დღის წესრიგშია მოწეული მოსავლის გამოზიდვისა და ადგილზე მიტანის ორგანიზაციის გაუმჯობესება. რა დასამალია ჯერ კიდევ დიდია დანაკარგები პირუტყვისა და რძის ცუდად მიღების გამო. ახლა კომიტეტი დაინტერესებულ სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად წყვეტს უშუალოდ მეურნეობებში ხორცის მიღების საკითხს.

— ჩვენი ამოცანაა, — ამბობს სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე გ. მგელაძე, — ისე მოვაწყოთ საქმე, რომ სოფლად წარმოების სფეროსა და მომსახურების სფეროს შორის ჰარმონიას მივაღწიოთ. ცენტრალიზებული მომარაგება სწორედ ამ მიზანს ემსახურება.

ექსპერიმენტი გრძელდება. იძენენ გამოცდილებას, იწუნებენ ვარიანტებს, რომლებმაც ვერ გაუძლო პრაქტიკულ გამოცდას. რესპუბლიკის აგროსამრეწველო კომპლექსის მშრომელები, სკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის მარტის პლენუმის გადაწყვეტილებების პასუხად, შეუპოვრად იბრძვიან სოფლად შექმნილი პოტენციალის ეფექტიანი გამოყენებისა და წარმოების ინტენსიფიკაციისათვის.

გ. ლებანიძე,
(„პრავდის“ კორ.).
„პრავდა“, 1985 წ. 8.-IV.

წითელდროშოვანი ჭიქაანის ველებში

კარგი საგაზაფხულო განწყობილებით გავიდნენ ველებში სამუშაოდ წლეულს ყვარლის რაიონის სოფელ ჭიქაანის კ. მარქსის სახელობის კოლმეურნეობის მექანიზატორები. სამშობლოს მაღალი ჯილდოს — სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებისათვის მოპოვებული სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშის — პასუხად კოლმეურნეებმა ხუთწლედის დამამთავრებელ წელს იკისრეს გადიდებული ვალდებულებები. მათ გადაწყვიტეს 1985 წელს სახელმწიფოს მიჰყიდონ სულ ცოტა 6.400 ტონა ყურძენი. ეს საგეგმოზე 1.300 ტონით მეტია.

სურათებზე: კარგი განწყობილებით მუშაობს ახალგაზრდა მექანიზატორი დავით ხვედელიძე; ვენახების საგაზაფხულო დამუშავება ჭიქაანში.

ი. დავითაშვილისა და მ. დათიკაშვილის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

დისციპლინის განმტკიცების მნიშვნელოვანი საშუალება

კადრებისადმი მომთხოვნელობის შემდგომი გაძლიერების, მინდობილი საქმის შესრულებისათვის მათი პასუხისმგებლობის ამაღლების, მუშაობაში ლენინური სტილის დამკვიდრების შესახებ სკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის მარტის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა რესპუბლიკის სამინისტროებისა და უწყებების პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივანთა, აპარატის იმ მუშაკთა თათბირი, რომლებიც პასუხს აგებენ დოკუმენტებზე, მშრომელთა წერილებსა და განცხადებებზე მუშაობისათვის, ახორციელებენ კონტროლს ზემდგომი პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო ორგანოებისა და საკუთარი გადაწყვეტილებების შესრულებისადმი.

თათბირზე აღიძრა საკითხები, რომლებიც ეხება დოკუმენტებზე მუშაობის ფორმებისა და მეთოდების შემდგომ სრულყოფას, რომელიც პარტიული და სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცების, სამინისტროებისა და უწყებების აპარატის ყველა რგოლის ზუსტი, შეთანხმებული ფუნქციონირების მიღწევის, მინდობილი საქმისათვის კადრების პერსონალური პასუხისმგებლობის ამაღლების, მომთხოვნელობისა და პოლიტიკური სიფხიზლის გაძლიერების საშუალებაა. თათბირის მონაწილეებმა ხაზგასმით აღნიშნეს, თუ რა დაუცხრომლად ზრუნავს პარტია იმისათვის, რომ დოკუმენტებზე მუშაობა შეესაბამებოდეს გაზრდილ მოთხოვნებს, წარმოებდეს სათანადო ხარისხობრივ დონეზე, ზუსტად და ორგანიზებულად.

გაიმართა სასარგებლო აზრთა გაზიარება სადირექტივო ორგანოების გადაწყვეტილებათა შესრულებისადმი, მშრომელთა წერილობითი და ზეპირი მიმართვების განხილვისადმი, საშემსრულებლო დისციპლინის განმტკიცებისადმი კონტროლის ორგანიზაციისათვის მუშაობის შეძენილი გამოცდილების შესახებ.

თათბირის შედეგები შეაჯამა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა გ. ა. ანდრონიკაშვილმა.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ნ. ა. ჩითანავა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საერთო განყოფილების გამგე ლ. ი. მგალობლიშვილი, რესპუბლიკის მთელი რიგი სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელები.

(საქინფორმი).

დარგს — მაღალი კულტურა

საქართველოში გავრცელებულ სასოფლო-სამეურნეო კულტურათა შორის გარკვეული ადგილი უკავია თამბაქოს. „სამსუნისა“ და „ტრაპიზონის“ ჯიშის თამბაქო, რომელიც სხვადასხვა კლიმატურ ზონაში მოჰყავთ, თავისი თვისებებით საუკეთესო საზღვარგარეთულ ნიმუშებს არ ჩამოუვარდება. მაგრამ, თუმცა რესპუბლიკაში ყველა პირობაა ამ ნედლეულის წარმოების გასადიდებლად, მიმდინარე ხუთწლედში წლითიწლობით კლებულობს პროდუქციის დამზადებისა და წარმოების ტემპი.

ამის თავიდან აცილება შესაძლებელი იქნებოდა, აღნიშნეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გამართული მეთამბაქოეობისადმი მიძღვნილი რესპუბლიკური თათბირის მონაწილეებმა, რაიონულ აგროსამრეწველო გაერთიანებათა, მეურნეობათა ხელმძღვანელები უფრო ღრმად რომ სწვდებოდნენ დარგის პრობლემებს, შეუპოვრად აღმოფხვრიდნენ ნაკლოვანებებს. პრობლემა და ნაკლოვანება კი ცოტა როდია. უწინარეს ყოვლისა ეს არის მიწათმოქმედების დაბალი კულტურა, თამბაქოს თესვის აგროვადების დარღვევა, პლანტაციების სიმეჩხრე, ხელის შრომის დიდი ხვედრითი წილი. თათბირზე პრეტენზიები გამოითქვა რესპუბლიკის მეცნიერთა და სპეციალისტთა მიმართ, რომლებიც ჯერ კიდევ ვალში არიან წარმოების მუშაკთა წინაშე, სუსტად ნერგავენ კულტურის ახალ მაღალხარისხოვან ჯიშებსა და ჰიბრიდებს, პროგრესულ ტექნოლოგიებს.

თათბირის მონაწილეებმა დაამტკიცეს 1985 წლის გადიდებული სოციალისტური ვალდებულებანი. მაგალითად, აფხაზეთის ასს რესპუბლიკის მეთამბაქოეებმა ვალდებულება იკისრეს დაამზადონ სულ ცოტა 7 ათასი ტონა ხარისხოვანი ნედლეული, აჭარის ასს რესპუბლიკის მეთამბაქოეებმა — 4.200 ტონა. ახალი მიჯნები დაისახეს ლაგოდეხის, მარნეულის, სხვა რაიონების მშრომელებმაც. წლეულს რესპუბლიკამ 20 ათასი ტონა თამბაქო უნდა დაამზადოს.

თათბირის შედეგები შეაჯამა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ჯ. ი. პატიაშვილმა. (საქინფორმი).

არხის ახალი ცხოვრება

ნახევარ საუკუნეზე მეტ ხანს ემსახურა ადამიანებს ქვემო ალაზნის არხი. დადგა დრო ვიზრუნოთ „ვეტერანისათვის“: დაიწყო რესპუბლიკაში უძველესი სარწყავი სისტემის რეკონსტრუქცია.

— ეს სისტემა წყალს აწვდის თითქმის 60 ათას ჰექტარ სავარგულებს, — თქვა საქმთავარწყალმშენის უფროსმა ა. მუსერიძემ. — ალაზნის ველზე განლაგებული სარწყავი მიწები ვიწრო ზოლად 83 კილომეტრზეა გაჭიმული მთელი არხის გასწვრივ მასივის ფერდობებზე. ძირითადად ეს არის ბაღ-ვენახები. ძლიერი დამლაშების გამო მნიშვნელოვანი ფართობები აუთვისებელია. მელიორატორებმა მათი ნაწილი დააბრუნეს სასოფლო-სამეურნეო ბრუნვაში: 1971 წელს საძოვრებისთვის წინათ უვარგის მიწებზე შეიქმნა წნორის მეცხოველეობის კომპლექსი. ამ ფართობებზე ალაზნიდან წყლის მიწოდება ხორციელდება სატუმბი სადგურების მეშვეობით.

რეკონსტრუქციის გენერალური გეგმა ითვალისწინებს სათავო ნაგებობის, სხვა ობიექტების აღდგენას, რომლებიც მწყობრიდან გამოვიდა გრუნტის წყლების მაღალი დონის გამო.

ფართოდ გამოიყენებენ რწყვის პროგრესულ მეთოდებს, დასახულია, მაგალითად, დაინერგოს ქვენიადაგური რწყვის სისტემა, ყველა აუთვისებელ მასივზე გავრცელდეს ფართო პირმოდების საწვიმებელი ტექნიკა.

სისტემის საბოლოო რეკონსტრუქციას დიდი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა აქვს. და ეს გასაგებიც არის, თუ გავითვალისწინებთ, რომ ვენახების ძირითადი ნაწილი სწორედ ალაზნის ველზეა თავმოყრილი.

დიდი მნიშვნელობა აქვს იმასაც, რომ ყველა სამუშაო მიმდინარეობს გარემოს დაცვის გათვალისწინებით. თავისი ახლანდელი სახით არხს არა აქვს თევზის დამცავი ნაგებობანი, სისტემის რეკონსტრუქციის პროექტში კი გათვალისწინებულია ასეთი ობიექტების შექმნა. დასახულია აგრეთვე კალმახის მოსაშენებელი მეურნეობის მშენებლობა. (საქინფორმი).

„პარტიული სიტყვა“ № 6

გამოვიდა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ჟურნალის „პარტიული სიტყვის“ მორიგი, მეექვსე ნომერი.

ჟურნალში დაბეჭდილია საინფორმაციო ცნობა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ. აქვეა გამოქვეყნებული სკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ მ. ს. გორბაჩოვის სიტყვა სკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის 11 მარტის პლენუმზე და მიხეილ სერგის ძე გორბაჩოვის ბიოგრაფია.

ჟურნალში დაბეჭდილია სარედაქციო წერილი — „ხარისხისთვის პასუხს ვაგებთ ყველა!“

რუბრიკით „სამშობლო არ ივიწყებს, ზრუნავს“ თქვენ გაეცნობით ვ. ქარუმიძის წერილს — „ალალი იყოს!..“

ჟურნალს აქვს განყოფილებები: „წელი დამამთავრებელი, წელი შემხვედრი“; „რეპლიკა“; „რედაქცია ჩაერია, დაიხმა“; „ყურადღება — მოზარდი!“; „ჩვენი პუბლიკაცია“; „პარტიული სწავლება“; „შეკითხვას პასუხი უნდა გაეცეს“; „გაზეთების ფურცლებზე“; „კალოგია და იდეოლოგია“; „ჟურნალის კრიტიკული გამოსვლის შემდეგ: გამოძახილი“.

კრიტიკული გამოსვლის შემდეგ

„კომუნისტს“ უპასუხებს

პარტიის ქობულეთის რაიკომი

რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ სოფლის მეურნეობის პროდუქტების უნებართვოდ გატანის ფაქტები იყო მხილებული ჩვენი გაზეთის ფურცლებზე დაბეჭდილ წერილში „შორეულ ბაზრებზე სასპეკულაციოდ“. მასში მოყვანილ სხვა ფაქტებთან ერთად დასახელებული იყვნენ ქობულეთის რაიონის მცხოვრებნიც. ამის გამო პარტიის ქობულეთის რაიკომის პირველი მდივანი შ. მეხხიძე გვწერს:

გაზეთში დაბეჭდილ წერილში დასახელებული სოფლებისა და დაბის შრომითი კოლექტივების კრებებზე მკაცრად იმსჯელეს ოჩხამურელი თ. თევზაძის, ჩაისუბნელი მ. ყურშუბაძის, ხალილე რ. ლორთქიფანიძის შესახებ და დაგმეს მათი საქციელი. ამასთან მ. ყურშუბაძე და რ. ლორთქიფანიძე გაირიცხნენ კოლმეურნეობებიდან და ჩამოერთვათ საკარმიდამო ნაკვეთი 400-500 კვადრატული მეტრის ფარგლებში, ხოლო ო. თევზაძეს დაედო ადმინისტრაციული სასჯელი და საქმე გამოსაძიებლად გადაეცა რაიპროკურატურას. მკაცრად დაისაჯნენ აგრეთვე იმ საწარმოო ბრიგადების ხელმძღვანელები და უბნის აგრონომები, რომლებმაც ვერ უზრუნველყვეს ამ მოქალაქეთა მოქმედებისადმი კონტროლის დაწესება.

პარტიის რაიონული კომიტეტის ბიურომ განიხილა საკითხი რაიონის ცალკეულ მცხოვრებთა მიერ რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ ციტრუსოვანთა ნაყოფის უნებართვოდ გატანის ფაქტების შესახებ და ამ საკითხზე მიიღო სათანადო დადგენილება. ბიურომ ამ მხრივ არასაკმარისი მუშაობისათვის პარტიული სასჯელი დაადო ხალის სახალხო დეპუტატთა სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეს ი. კონცელიძეს, ხოლო ოჩხამურის სადაბო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ნ. გოგიტიძე გაათავისუფლეს.

მეცნიერების ორიენტირები

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წლიური საერთო კრება

200 მილიონზე მეტ მანეთად ფასდება მიმდინარე ხუთწლედის ოთხი წლის მანძილზე ქართველ მეცნიერთა მიერ სახალხო მეურნეობაში დანერგილი გამოკვლევების ეკონომიკური ეფექტიანობა. ეს თითქმის ერთიორად აღემატება წინა ხუთწლედის მაჩვენებელს. რესპუბლიკის მეცნიერები 25 საკავშირო და 27 რესპუბლიკური სამეცნიერო-ტექნიკური პროგრამის რეალიზაციაში მონაწილეობენ.

მეთერთმეტე ხუთწლედის მეოთხე წელს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საქმიანობის ძირითად მიმართულებათა შესახებ იყო სჯა-ბაასი აკადემიის წლიურ საერთო კრებაზე.

კრება გახსნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა ე. ქ. ხარაძემ.

მოხსენება 1984 წელს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის საქმიანობის შედეგების შესახებ გააკეთა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს-მდივანმა ე. ა. სეხნიაშვილმა.

მომხსენებელმა და ორატორებმა აღნიშნეს, რომ საანგარიშო წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მეცადინეობა ხმარდებოდა სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმების გადაწყვეტილებათა განხორციელებას. მეცნიერები აქტიურად უწყობდნენ ხელს მეთერთმეტე ხუთწლედის გეგმების შესრულებას, რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური ამოცანების გადაწყვეტას, ინტენსიური განვითარების გზაზე ეკონომიკის გადასვლის დაჩქარებას, საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლებას.

მეცნიერების განვითარებაზე სასიკეთო ზეგავლენას ახდენს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მეცნიერებისა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის რესპუბლიკური საკოორდინაციო საბჭო, აგრეთვე პარტიის რაიონულ, საქალაქო და საოლქო კომიტეტებთან შექმნილი ანალოგიური საბჭოები.

აკადემიის საქმიანობაში დიდმნიშვნელოვანი ადგილი უკავია მატერიალური წარმოების სფეროსთან მეცნიერების ინტეგრაციის გაძლიერებას, მრეწველობასთან და სოფლის მეურნეობასთან მისი დაახლოების ახალი შემოქმედებითი ფორმების დამკვიდრებას. გაფორმდა აკადემიის სამეცნიერო დაწესებულებათა და საწარმოო ორგანიზაციათა პარტნიორობის 36 ხელშეკრულება. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის VI პლენუმზე ჩამოყალიბებული პარტნიორობის პრინციპის მეშვეობით გადაილახა უწყებრიობის ბარიერები და მეცნიერებს საშუალება მიეცათ მეტი აქტიურობით იმოქმედონ მეცნიერულ-ტექნიკური პოტენციალის უფრო სრული გამოყენებისათვის, სახალხო მეურნეობის, ქვეყნისა და რესპუბლიკის ეკონომიკის საკეთილდღეოდ წარმოებასთან მეცნიერების ინტეგრაციის გაღრმავების, შემდგომი გაფართოებისა და განმტკიცებისათვის.

1984 წლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოვლენა გახდა ის, რომ დამთავრდა მუშაობა რესპუბლიკის მეცნიერებისა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის განვითარების ოცწლიან — 2005 წლამდე პროგნოზზე. დაიწყო 2010 წლამდე პროგნოზის შედგენა.

დიდი სამეცნიერო და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს ისეთ კვლევა-ძიებას, რომელიც უკავშირდება კავკასიონის საუღელტეხილო გზის დაპროექტებას, საქართველოში საბაზისო ელექტროსადგურის აშენებას, რესპუბლიკის ცალკეული რეგიონების განვითარების გრძელვადიანი პროგნოზების — „საქართველო—2000—რეგიონები" შედგენას, ჭიათურის მანგანუმის საბადოს წიაღისეულის რაციონალურ გამოყენებას, ეკოლოგიური სიტუაციის შემდგომ გაუმჯობესებას ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანაში და ა. შ.

აკადემიის ინსტიტუტებში წარმოებს ინტენსიური კვლევა, რომელიც დაკავშირებულია კოროზიისაგან ლითონების დაცვასთან და კოროზიაგამძლე მასალების შემუშავების პრობლემებთან. ქმნიან და ითვისებენ ახალი ტიპის შიგაწვის ძრავებს. მეცნიერნი აპროგნოზებენ მიწისძვრებს, ხვეწენ მართვის ავტომატიზებულ სისტემებს, შეისწავლიან გარემოს დაცვის საკითხებს, კოლხეთის პრობლემებს. გრძელდება მუშაობა ისეთ დარგებში, როგორიცაა რესპუბლიკის საკურორტო რესურსების შესწავლა და რაციონალური გამოყენება, სახალხო მეურნეობაში ბუნებრივი ცეოლიტებისა და ფერმენტული პრეპარატების გამოყენება, მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდება და სხვ.

ნაყოფიერად იმუშავეს საზოგადოებრივ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა წარმომადგენლებმა. ბევრი გამოკვლევა მიეძღვნა დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების 40 წლისთავს. ამ გამოკვლევებში წარმოჩენილია ქართველი მეომრების გმირობა, საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრება, მეცნიერებისა და კულტურის განვითარება ომის წლებში, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის წვლილი გამარჯვებაში, სოციალისტური შეჯიბრების როლი ომის დროს ეკონომიკის განვითარებაში. ეს ნაშრომები შევა ფუნდამენტურ გამოცემაში „საქართველო დიდ სამამულო ომში (1941-1945 წლები)".

ამასთან ერთად კრების მონაწილეებმა ყურადღება გაამახვილეს აკადემიის საქმიანობაში არსებულ ნაკლოვანებებზე, მათი აღმოფხვრის გზებზე.

გაიმართა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სახელობითი პრემიების, აგრეთვე 1977 წლიდან ახალგაზრდა მეცნიერთა და სტუდენტთათვის დაწესებული მედლებისა და პრემიების გადაცემა.

კრებამ განიხილა ორგანიზაციული საკითხები.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტად აირჩიეს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ი. ფრანგიშვილი.

კრებამ მიიღო დადგენილება, დაამტკიცა აკადემიის სამეცნიერო დაწესებულებათა დირექტორები.

კრების მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ო. ე. ჩერქეზია, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის მთავარი სწავლული მდივანი, სოციალისტური შრომის გმირი, აკადემიკოსი გ. კ. სკრიაბინი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეცნიერებისა და სასწავლებელთა განყოფილების გამგე ა. პ. საყვარელიძე. (საქინფორმი).

ასე განაგრძეთ, პოლიტექნიკოსებო!

საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ყოველი ათი სტუდენტიდან შვიდმა მიმდინარე სასწავლო წელს „კარგზე" და „ფრიადზე" ჩააბარა გამოცდები საზოგადოებრივ დისციპლინებში.

ორი ათასი მომავალი სამთო ინჟინერი, გზის ინჟინერი, ენერგეტიკოსი, მშენებელი მუშაობს 20 სტუდენტურ კვლევითსა და საკონსტრუქტორო ბიუროში.

მარტო ბოლო წლების მანძილზე უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტებმა 50-ზე მეტი საავტორო მოწმობა მიიღეს, ხოლო მათ მიერ წარმოდგენილი ასამდე ორიგინალური საინჟინრო გადაწყვეტა დანერგილია წარმოებაში. მათი შრომის წვლილიც არის იმაში, რომ უმაღლესი სასწავლებლის კოლექტივმა ბოლო სამი წლის მანძილზე ქვეყნის სახალხო მეურნეობას 41 მილიონ მანეთზე მეტი დაუზოგა სიახლეების დანერგვის, წარმოების ავტომატიზაციის გზით.

1984 წლის სოციალისტურ შეჯიბრებაში მიღწეული წარმატებებისათვის საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტი სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების განათლების მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით დაჯილდოვდა.

საზეიმო კრებაზე ინსტიტუტს საპატიო ჯილდო გადასცა სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს სამეცნიერო-ტექნიკური საბჭოს უფროსმა ვ. კრუტოვმა.

კრებაში მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი გ. ენუქიძე და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვ. ლორთქიფანიძე. (საქინფორმი).

გეოლოგის დღის აღსანიშნავად

კვირას, 7 აპრილს ზეიმით აღინიშნა მოუსვენარი და რომანტიკული პროფესიის წარმომადგენელთა ტრადიციული დღესასწაული — გეოლოგის დღე. ფასდაუდებელია წიაღისეულის მაძიებელთა წვლილი ქვეყნისა და, კერძოდ, ჩვენი რესპუბლიკის ეკონომიკის მიღწევებში. ამასთან დაკავშირებით გთავაზობთ ამ თარიღისადმი მიძღვნილ მასალას.

ეძიებენ და პოულობენ

გეოლოგებს აპრილი აურჩევიათ თავიანთ ზეიმის დღედ, არც არის გასაკვირი, ამ თვეში ხომ ნამდვილი გაზაფხული და ინტენსიური საქმიანობა იწყება. დიდია ამ დარგის მუშაკთა წვლილი ქვეყნის სახალხო მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარებაში. ჩვენი რესპუბლიკის გეოლოგები დაუღალავად შრომობენ, და მათი გარჯის შედეგია სასარგებლო წიაღისეულის მრავალი საბადოს აღმოჩენა, ხალხის სამსახურში მათი ჩაყენება, უამისოდ დღეს წარმოუდგენელია შავი და ფერადი მეტალურგიის, თბოენერგეტიკული, ქიმიური, საშენი მასალების მრეწველობის სხვა დარგების განვითარება.

უკანასკნელ წლებში რესპუბლიკის ტერიტორიაზე აღმოჩენილია სასარგებლო წიაღისეულის ახალი მდიდარი საბადოები. წიაღის სიმდიდრეთა შორის მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ჭიათურის მანგანუმის მადანს. როგორც ცნობილია, ჭიათურის საბადოს მარაგი საუკუნეზე მეტი ხნის ინტენსიური ექსპლოატაციის შედეგად მნიშვნელოვნად შემცირდა. გეოლოგიური სამმართველოს მუშაკების ამოცანაა გამოავლინონ ნედლეულის ახალი ბაზები „ჭიათურმანგანუმის" საწარმოო გაერთიანებისათვის.

მიწისქვეშა სიმდიდრეთა მაძიებლებს სამართლიანად შეუძლიათ იამაყონ: დასაზვერი სამუშაოების შედეგად ამ რეგიონის მთლიანად დაუმუშავებელ ფართობებზე აღმოაჩინეს მაღალხარისხოვანი მანგანუმის მადნის ახალი მარაგი. ჭიათურის მაღაროთა ნედლეულის ბაზის შემდგომი განმტკიცების მიზნით სწრაფი ტემპით მიმდინარეობს საძიებო-სადაზვერვო სამუშაოები ეგრეთ წოდებული ყვირილის დეპრესიის ცენტრალურ ნაწილში, ჭიათურის საბადოთა მიმდებარე სხვა რაიონებში.

რესპუბლიკის ფერადი მეტალურგიის უმნიშვნელოვანესი მატერიალურ-სანედლეულო ბაზაა მადნეულის საბადო. მეათე ხუთწლედში აქ აღმოაჩინეს იშვიათი ლითონების სამრეწველო კონცენტრაცია. ახალი პერსპექტიული მადნის ველები აღმოჩნდა კვაისში, ცანის ზონებში და სხვაგან.

რაც შეეხება ქვანახშირის ბაზას, მდგომარეობა ასეთია: ტყვარჩელის საბადოს კოქსვადი ქვანახშირის მარაგის ხვედრითი წილი მცირდება, ტყიბულ-შაორის საბადოს გაზიანი ქვანახშირის ხვედრითი წილი კი მატულობს. ამასთან დაკავშირებით გეოლოგიის სამმართველო დაჩქარებული ტემპით აწარმოებს ტყიბულის „დასავლეთის" შახტის ველის ჩრდილოეთი ფრთის სადაზვერვო სამუშაოებს მისი ექსპლოატაციის ვადის კიდევ ოცი წლით გახანგრძლივებისათვის. საბადოს ცენტრალურ უბანში მიმდინარე ხუთწლედში გათვალისწინებულია ამენონ წელიწადში 1-1,5 მილიონი ტონა ქვანახშირის სიმძლავრის ახალი შახტი.

ითვალისწინებს რა საკმაო მარაგის მქონე ახალი უბნების გამოვლენის შეზღუდულ პერსპექტივებს როგორც თვით ტყვარჩელის საბადოს ფარგლებში, ასევე მიმდებარე რაიონებში, სამმართველო ძველი ქვანახშირის ფართობებს ხელმეორედ ზვერავს მოქმედი შახტების სამსახურის ვადის გახანგრძლივების მიზნით.

ასევე წარმატებით ხორციელდება გეოლოგიურ-სადაზვერვო სამუშაოები იმისათვის, რომ ქუთაისის ლითოპონის ქარხანა უზრუნველყონ ბარიტით, რუსთავის მეტალურგიული ქარხანა — საფლუსე დოლომიტით, ნავთობის მრეწველობა — ბენტონიტური თიხებით, ქიმიური მრეწველობა — ცეოლითებით, დარიშხანით და სხვა.

ბუნებრივი საშენი მასალებით სამშენებლო ინდუსტრიის უზრუნველყოფის მიზნით სამმართველო დიდ სამუშაოებს ასრულებს სხვადასხვა მოსაპირკეთებელი და საკედლე მასალის, საავგურე თიხის, ბეტონის მსუბუქი შემავსებლების, ცემენტის ნედლეულის, კირქვების დაზვერვისათვის. საქართველოს ტერიტორიაზე უკვე დაზვერილია 220-ზე მეტი ასეთი საბადო.

სამუშაოთა ფართო კომპლექსი ხორციელდება ჰიდროგეოლოგიასა და საინჟინრო გეოლოგიაში. დაზვერილია მტკნარი მიწისქვეშა წყლის დაახლოებით ოცდაათი საბადო და უბანი ქალაქებისა და სოფლების სამეურნეო-სასმელი და ტექნიკური წყალმომარაგებისათვის. უკანასკნელ წლებში სამეცნიერო-საკონსტრუქტორო ორგანიზაციებისა და გეოლოგიის სამმართველოს ერთობლივი მეცადინეობით შემუშავდა და წარმოებაში ფართოდ ინერგება სასარგებლო წიაღისეულის ძიების ახალი ეფექტიანი მეთოდები. იყენებენ უფრო სრულყოფილი ტიპის საბურღ ჩარხებს, რომლებიც საშუალებას იძლევიან ბურღვა აწარმოონ ჩქარი ტემპით, ფართოდ იყენებენ ალმასის ხელსაწყოებს, პნევმო და ჰიდროდარტყმის სანგრევ მანქანებს.

საქართველოს გეოლოგიურ ექსპედიციებს შორის თავისი შრომითი მიღწევებით გამოირჩევა ჰიდროგეოლოგიური და საინჟინრო-გეოლოგიური ექსპედიცია (უფროსი ლ. ხარატიშვილი, მთავარი ინჟინერი დ. ბერძენიშვილი, მთავარი გეოლოგი ჯ. გაბეჩავა). მან შარშან საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გაიმარჯვა და მეორედ დაიმსახურა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა.

ეს ექსპედიცია საძიებო სამუშაოებს აწარმოებს მიწისქვეშა მტკნარ-მინერალურ და სამრეწველო წყლების მარაგის გამოსავლენად ქალაქების, სოფლების და მსხვილი სამრეწველო ობიექტების წყლით უზრუნველყოფის მიზნით. გარდა ამისა, ექსპედიცია იკვლევს ეგზოდინამიკური გეოლოგიური პროცესების — მეწყერების, ზვავების, ეროზიის პროცესების მიზეზებს და ამუშავებს რეკომენდაციებს მათი უარყოფითი გავლენის აღმოსაფხვრელად. შარშან ექსპედიციაში შემავალმა გეოლოგიურმა პარტიებმა დაზვერეს თრიალეთის წყაროების მიწისქვეშა მარაგი, რომელიც ვადაზე ადრე დაამტკიცა სახელმწიფო კომისიამ.

ამ პროექტის განხორციელების შემდეგ თბილისს დამატებით მიეცემა მაღალხარისხოვანი სასმელი წყალი. გრძელდება მუშაობა სხვადასხვა სახეობის მინერალური წყლების, მათ შორის „ბორჯომის" ტიპის წყლების საბადოთა გამოსავლენად. ეს ექსპედიცია დიდ სამუშაოებს ასრულებს მიწისქვეშა წყლების მარაგის რაციონალური გამოყენებისათვის. მარტო ხუთწლედის ოთხ წელიწადში გამოვლენილი და დამტკიცებულია მტკნარი წყლების 12 საბადო. განვლილ ოთხ წელიწადში მარაგის ნამატმა დღე-ღამეში 5 მილიონ კუბურ მეტრს მიაღწია. ეს კი მკვეთრად გააუმჯობესებს ქალაქებისა და სოფლების წყლით მომარაგებას.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ საბჭოთა კავშირში ერთ სულ მოსახლეზე მარაგთა მატების ყველაზე სწრაფი ტემპი ჩვენს რესპუბლიკაში აღინიშნება.

საქართველოს სსრ გეოლოგიის სამმართველოს ჰიდროგეოლოგიურ და საინჟინრო-გეოლოგიურ ექსპედიციაში შედის 36 გეოლოგიური პარტია, რომლებიც 70 ობიექტზე აწარმოებენ საძიებო სამუშაოებს.

აქაური მშრომელების სანაქებოდ უნდა ითქვას, რომ მათ შარშან შრომის ნაყოფიერება გეგმის გადამეტებით 4,1 პროცენტით გაზარდეს, ხოლო მთლიანად ხუთწლედში — 2,9 პროცენტით, პროდუქციის თვითღირებულება გეგმის გადამეტებით 2 პროცენტით შეამცირეს. დაზოგილი ნედლეულითა და მასალებით გაბურღეს 1100 მეტრი. ეკონომიკურმა ეფექტმა 2 მილიონ 700 ათასი მანეთი შეადგინა.

მიუხედავად წლევანდელი ცუდი ამინდებისა, ამ ექსპედიციამ პირველი კვარტლის სახელმწიფო გეგმა-ვალდებულება ყველა ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლის მიხედვით შეასრულა და წარდგენილია საკავშირო სამინისტროში სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულის სახელის მოსაპოვებლად.

წლეულს ექსპედიცია ძირითადად ქსნის ობიექტზე იმუშავებს მიწისქვეშა წყლების მარაგის დასამტკიცებლად, რათა თბილისი უზრუნველყოფილი იყოს წყლის იმ რაოდენობით, რამდენიც გათვალისწინებულია 2000 წლისათვის. გარდა ამისა გაფართოვდება სამუშაოები შავი ზღვის საკურორტო ზონაში „ბორჯომისა" და სხვა ტიპის წყლების ახალი მარაგის გამოსავლენად.

ექსპედიციის გეოლოგები მეთერთმეტე ხუთწლედის მოგების გეგმის შესრულებას მიმდინარე წლის მეორე კვარტლის დამლევისათვის ვარაუდობენ და ამით გეგმის გადამეტებით ორ მილიონ მანეთს დაზოგავენ. წლეულს სამ დღეს იშრომებენ დაზოგილი ნედლეულითა და მასალებით.

შიდასაექსპედიციო სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდნენ ბორჯომის ჰიდროგეოლოგიური (უფროსი ნ. დოლიძე), კოლხეთის ჰიდროგეოლოგიური (უფროსი ვ. დიხამინჯია), ჭაბურღილების მოწყობის სპეციალიზებული (უფროსი თ. ღამბაშიძე), ყვარლის საინჟინრო-გეოლოგიური (უფროსი ჯ. წერეთელი) და ბზიფის საინჟინრო-გეოლოგიური (უფროსი გ. ონიანი) პარტიები.

ლ. ქინქლაძე.

სურათზე: საქართველოს სსრ გეოლოგიის სამმართველოს ჰიდროგეოლოგიური და საინჟინრო-გეოლოგიური ექსპედიციის წყლის ჭაბურღილების კეთილმოწყობის პარტიის მბურღავთა ბრიგადა (მარცხნიდან): მბურღავი თამაზ კაბოსნიძე, უბნის უფროსი ჯემალ კაპანაძე, ბურღვის ოსტატი ვანო გვარაძე და მბურღავი ომარ აბულიდიანი.

თ. ნიკოლაიშვილის ფოტო.

„წმინდა თევდორე" სამშობლოში დაბრუნდა

ექვსი წლის შემდეგ საქართველოში დაბრუნდა შუა საუკუნეების ხელოვნების ძეგლი — „წმინდა თევდორეს" ხატი. ფ. ე. ძერჟინსკის სახელობის კლუბში საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამოძიებო სამმართველოს უფროსმა, პოლკოვნიკმა მ. ჯაფარიძემ რესპუბლიკის დედაქალაქის საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა თანდასწრებით გადასცა იგი საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის დირექტორს, პროფესორ ლ. ჭილაშვილს.

...ექვსი საუკუნის მანძილზე „წმინდა თევდორეს" არ მიუტოვებია იენაშის პატარა ეკლესია სვანეთში. მაგრამ 1978 წლის 2 დეკემბერს ეკლესია გაძარცვეს. რელიგიური კულტის გატაცებულ საგანთა შორის აღმოჩნდა ეს ხატიც — XIV საუკუნის ქართული ხელოვნების ფასდაუდებელი განძი.

რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამოძიებო სამმართველოს სპეციალურმა ჯგუფმა დიდი მუშაობა გასწია საქმის გამოსაძიებლად, ამ რთულ გზაზე აღმოჩენილი და ჩამორთმეული იყო ბევრი გატაცებული საგანი, მაგრამ „წმინდა თევდორეს" კვალის მიგნება ვერა და ვერ ხერხდებოდა.

დაეხმარათ შემთხვევა. თბილისში 1983 წელს, ქართული ხელოვნებისადმი მიძღვნილ IV საერთაშორისო სიმპოზიუმზე ერთ-ერთმა უცხოელმა სტუმარმა მასპინძლებს აჩვენა „წმინდა თევდორეს" ხატის ფოტოსურათი. ასე აღმოჩნდა მისი ადგილსამყოფელი — შვეიცარია.

როგორც უკვე ვიუწყებოდით, მაშინ ხატს დაუყოვნებლივ დაედო სეკვესტრი — სისხლის სამართლის პატიმრობა. ხელოვნების ნიმუშის სამშობლოში დაბრუნების საქმეს ხელი მოჰკიდეს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა, კულტურის, შინაგან საქმეთა და იუსტიციის სამინისტროებმა. საქმის ხანგრძლივი გარჩევის შემდეგ, ჟენევის საქალაქო სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება დაეკმაყოფილებინა ჩვენი ქვეყნის მოთხოვნა.

ხატის გადაცემის ცერემონიაზე თბილისის საზოგადოებრიობის წარმომადგენლებს მისი გატაცებისა და დაბრუნების ამბავი გაახსენა საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრმა, გენერალ-ლეიტენანტმა გ. გვეტაძემ. რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსებმა ვ. ბერიძემ და ა. ზურაბაშვილმა, მწერალმა ჭ. ამირეჯიბმა, რესპუბლიკის კულტურის მინისტრმა თ. ბადურაშვილმა და სხვებმა მადლობა გადაუხადეს საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს მუშაკებს გულმოდგინე და დაუცხრომელი მუშაობისათვის.

... ხატი დროებით გადაეცა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმს, მესტიის მუზეუმის მშენებლობის დამთავრების შემდეგ იგი მშობლიურ მხარეს დაუბრუნდება. (საქინფორმი).

გვერდს აუვლის თუ არა ქალაქელი ბაზარს?

— **საკოლმეურნეო** ბაზრის მომსახურებაზე ამ ბოლო დროს უარი თქვა რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მუშაკთა ორი ათასზე მეტმა ოჯახმა, — თქვა მებაღეობის ამხანაგობების წარმომადგენელთა თბილისში გამართულ მეორე რესპუბლიკურ კონფერენციაზე მეფოლადემ, სოციალისტური შრომის გმირმა ა. ძამაშვილმა. — სოფლის მეურნეობის პროდუქციით თვითონ უზრუნველყოფენ საკუთარ ოჯახს.

ნაკვეთზე, რომელიც მებაღეობის ამხანაგობის სხვა წევრების მსგავსად მასაც გამოუყვეს გარდაბნის რაიონის სოფელ ყარაჯალარის მახლობლად, არჩილ ძამაშვილმა შარშან მოიწია რვაას კილოგრამამდე ყურძენი, ბოსტნეული და ხილი. წელს, როგორც იგი ფიქრობს, მოსავალი უფრო უხვი იქნება.

რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მებაღეობის ამხანაგობა თხუთმეტ წელზე მეტია არსებობს. ენთუზიასტებმა ნაყოფიერება დაუბრუნეს მიწებს, რომლებიც სულ ახლახან უსიცოცხლო იყო. ოჯახებთან ერთად ისინი ნაკვეთებზე ატარებენ დასვენების დღეებს.

დღეს რესპუბლიკაში ექვსასამდე კოლექტიური მებაღეობის მეურნეობაა. მათ თავიანთი წვლილი შეაქვთ სასურსათო პროგრამის რეალიზაციაში, ხაზგასმით აღინიშნა საანგარიშო მოხსენებასა და კონფერენციაზე გამართული კამათის მონაწილეთა გამოსვლებში. თუ 1980 წელს ამხანაგობის წევრმა გაპიროვნებულ ნაკვეთზე მიიღო 80 კილოგრამზე ცოტა მეტი სოფლის მეურნეობის პროდუქცია, შარშან მან სამას კილოგრამზე მეტი მოიწია.

უკანასკნელ წლებში განმტკიცდა მებაღეობის ამხანაგობებისა და მათი რესპუბლიკური საბჭოს მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, შექმნილია საპროექტო-საკონსტრუქტორო და სამშენებლო ორგანიზაციები, მოგვარებულია მებაღეობის სახლების დაპროექტება და მშენებლობა. ყველაფერი ხორციელდება საბჭოთა მთავრობის, აგრეთვე რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს ამ საკითხზე ამას წინათ მიღებული დადგენილებების შესაბამისად.

მიწის ნაკვეთების რაციონალურ გამოყენებას, მოწინავე კოლექტივების გამოცდილების პროპაგანდას გარკვეულწილად ხელი შეუწყო საბჭოს მიერ მოწყობილმა დათვალიერება-კონკურსებმა. დიდი ყურადღება ეთმობოდა მებაღეობის ამხანაგობების თავმჯდომარეების, მათი საბჭოების წევრების სწავლებას.

მაგრამ მებაღეობის ამხანაგობები ჯერ კიდევ ძალიან ცოტაა. ბევრი საწარმოს, ორგანიზაციის ხელმძღვანელები, პროფკავშირული კომიტეტები არ ზრუნავენ ასეთ ამხანაგობათა შექმნისათვის, ჯეროვნად არ აფასებენ მათს ეკონომიკურ და სოციალურ მნიშვნელობას. ბევრი ნაკლია არსებულ ამხანაგობათა მუშაობაშიც. არის სტანდარტებისაგან გადახვევები ბაღის სახლების კონსტრუქციებში, სამშენებლო სამუშაოთა ხარისხი ხშირად დაბალია.

კონფერენციამ დასახა ნაკლოვანებათა აღმოფხვრის კონკრეტული ღონისძიებანი, განსაზღვრა სამომავლო ამოცანები.

მებაღეობის ამხანაგობათა მუშაობის საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარედ კვლავ აირჩიეს ზ. აბაზაძე.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ო. ვარძელაშვილი და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის განყოფილების გამგე ლ. ზაქაიძე (საქინფორმი).

უცხოეთში

8 აპრილი ● საქდესი იუწყება

ინგლისი — სეპარატისტთა თავყრილობა

დელი. ლონდონში გაიხსნა ფენჯაბელ სეპარატისტთა ეგრეთ წოდებული „საერთაშორისო კონფერენცია". როგორც ინდოეთის პრესა იუწყება, ამ თავყრილობაზე ჩავიდნენ ფენჯაბელ ემიგრანტთა 27 გამთიშველი და ექსტრემისტული დაჯგუფების „დელეგატები", რომლებმაც თავშესაფარი ამერიკის შეერთებულ შტატებში, ინგლისში, კანადაში, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასა და დასავლეთის სხვა ქვეყნებში მიიღეს. ამ კონფერენციას აგრეთვე ესწრებიან სეპარატისტული ბანდების წარმომადგენლები, რომლებიც ინდოეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში და ჯამუსა და ქაშმირის შტატში მოქმედებენ. თავყრილობას, როგორც „საპატიო სტუმრები", ესწრებიან ანტიავღანური კონტრრევოლუციური ნაძირალების „წარმომადგენლები".

ლონდონში გამართულ თავყრილობას ინდოეთისადმი აშკარა პროვოკაციული, მტრული ხასიათი აქვს. თავყრილობის დღის წესრიგშია ქვეყნის სხვადასხვა რაიონში მოქმედი სეპარატისტული და ტერორისტული დაჯგუფებების გაერთიანების ბაზაზე ინდოეთის წინააღმდეგ ძირგამომთხრელი საქმიანობის შემდგომი გააქტიურების საკითხები. მისი მონაწილენი აპირებენ გააფართოონ გამოსვლები, რათა ინდოეთს ჩამოაცილონ ფენჯაბის შტატი და მის საფუძველზე შექმნან „ჰალისტანის დამოუკიდებელი სახელმწიფო". სეპარატისტთა მოქმედების კოორდინაციისათვის აპირებენ შექმნან უზენაესი ორგანო მყვირალა სახელწოდებით — „ჰალისტანის საერთაშორისო საბჭო". ამრიგად, აღნიშნავენ ინდოელი მიმომხილველები, აშკარად ცდილობენ გაიინტერნაციონალურონ ინდოეთის ერთიანობის წინააღმდეგ ფენჯაბელ ექსტრემისტთა ძირგამომთხრელი დანაშაულებრივი საქმიანობა.

ინდოეთის საზოგადოებრიობა სამართლიან აღშფოთებას გამოთქვამს ინგლისის ხელისუფალთა პოზიციის გამო, რომლებმაც პროვოკაციული თავყრილობის მოწყობის სრული თავისუფლება მისცეს გამთიშველებს. ადგილობრივი პრესა ყურადღებას მიაპყრობს იმას, რომ ეგრეთ წოდებული „კონფერენცია" იმართება დელში ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის მ. ტეტჩერის ოფიციალური ვიზიტის წინ. ინდოეთის პროტესტების მიუხედავად, წერს მთავრობის წრეებთან დაახლოებული გაზეთი „ნეშნლ ჰერალდი", ბრიტანეთის ხელისუფალთ არაფერი უღონიათ იმისათვის, რომ აღეკვეთათ ინდოეთისადმი ეს მტრული აქცია.

პრესა ადასტურებს

ამზადებენ „არჩევნების" ფარსს

დელი. პაკისტანის სამხედრო ადმინისტრაციამ გამოაცხადა, რომ აპირებს 15 მაისს მოაწყოს ეგრეთ წოდებული „არჩევნები" პაკისტანის მიერ უკანონოდ ოკუპირებულ ინდოეთის ჯამუსა და ქაშმირის ნაწილში, იუწყება გაზეთი „ინდიან ექსპრესი". სამხედრო ხელისუფალთა მიერ წამოწყებული საარჩევნო ფარსის მიზანი ის არის, რომ ხელი შეუწყოს ამ ტერიტორიაზე საოკუპაციო რეჟიმის დამკვიდრებას და არა დემოკრატიული უფლებებისა და თავისუფლებების მინიჭების შესახებ მისი მოსახლეობის სამართლიან მოთხოვნათა დაკმაყოფილებას.

„არჩევნების" სპექტაკლისათვის მზადება მიმდინარეობს ინდოეთის წინააღმდეგ პაკისტანის მხედრიონის მზარდ შეიარაღებულ პროვოკაციათა ვითარებაში. როგორც გაზეთი „ტაიმს ოფ ინდია" წერს, 12 მარტიდან პაკისტანის ჯარებმა არაერთგზის დაუშინეს ცეცხლი ინდოეთის სასაზღვრო საგუშაგოებს ტურბანის რაიონში 27 და 28 მარტს, იუწყება იუნაიტედ პრეს ტრასტ ოფ ინდიას სააგენტო, პაკისტანმა ცეცხლი დაუშინა ინდოეთის პოზიციებს რაჯაურის ოლქში. ამავე დროს გაძლიერდა ინდოეთის ტერიტორიაზე პაკისტანელ ჯაშუშთა და მესაბოტაჟეთა შეგზავნა, რომლებსაც დავალებული აქვთ მოაწყონ ტერორისტული და დივერსიული აქტები.

სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა

ანტირასისტული მანიფესტაცია

ჰარარე. მასობრივ ანტირასისტულ მანიფესტაციად იქცა კაპის პროვინციაში აპარტეიდის, სახელმწიფოს არმიისა და პოლიციის სისხლიანი ტერორის მსხვერპლთა დაკრძალვა. მარტო პორტ-ელიზაბეტის გარეუბან ევილეში გამართულ სამგლოვიარო პროცესიაში 15 ათასზე მეტი კაცი მონაწილეობდა. მათ გულისწყრომით დაგმეს პოლიციის მხეცობა, მოითხოვეს ბოლო მოეღოს რეპრესიებს. დამსჯელებმა მშვიდობიან დემონსტრანტთა წინააღმდეგ ცრემლსადენი გაზი და ცეცხლმსროლელი იარაღი იხმარეს, ათობით კაცი დაიჭრა, ერთი აფრიკელი დაიღუპა.

როგორც კეიპტაუნიდან იუწყებიან, მთელ კაპის პროვინციაში არ ცხრება დაძაბული ვითარება. იარაღის ძალითაც ვერ ახშობენ დამსჯელები აფრიკელთა გამოსვლებს რასობრივი დისკრიმინაციის წინააღმდეგ. პოლიციის რაზმებმა და არმიის ქვეგანაყოფებმა ვერტმფრენავების მხარდაჭერით ბლოკადაში მოაქციეს აფრიკელთა დაბები.

ფოტოფაქტი

ამერიკელი „მრჩევლები" სალვადორში

განაგრძობს რა ცენტრალური ამერიკის ქვეყნების საშინაო საქმეებში აქტიური ჩარევის პოლიტიკას, ვაშინგტონის ადმინისტრაცია ეკონომიკურ და სამხედრო დახმარებას უზრდის სალვადორის სისხლიან რეჟიმს, რაც წლეულს 557 მილიონ დოლარს მიაღწევს. „ნიუ-იორკ ტაიმსის" ცნობით, შეერთებულ შტატებს სალვადორში მუდმივად ჰყავთ ორჯერ მეტი სამხედრო „მრჩევლები", ვიდრე ოფიციალურად აცხადებენ. ამას წინათ დუარტეს რეჟიმმა ვაშინგტონისაგან მიიღო მსხვილკალიბრიანი ტყვიამფრქვევებითა და ღამით ხედვის მოწყობილობით აღჭურვილი საბრძოლო ვერტმფრენავებისა და თვითმფრინავების ახალი პარტია, რომლებსაც გამოიყენებენ მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ სადამსჯელო ოპერაციებისათვის.

სურათზე: ამერიკელი სამხედრო „მრჩევლები" სალვადორში.

საქდესის ფოტო.

მოკლედ

◆ **პარიზი.** დაახლოებით ათასმა კაცმა მიიღო მონაწილეობა ფირმა „ვალეოს" დირექციის იმ გადაწყვეტილების წინააღმდეგ მოწყობილ საპროტესტო მანიფესტაციაში, რომ გაუქმდეს 1800 სამუშაო ადგილი ამ ჯგუფში შემავალი ფირმა „დიუხელიეს" ქალაქ ისუარის ქარხნებში. შრომის საყოველთაო კონფედერაციის ინიციატივით მოწყობილი მანიფესტაციის მონაწილეებმა დროებით შეაჩერეს ორი სწრაფი მატარებელი, რათა მგზავრებს შორის გაევრცელებინათ ფურცლები თავიანთი მოთხოვნებით.

◆ **კაირო.** სიონისტთა საპყრობილეებში მყოფ პალესტინელ და ლიბანელ პატიმრებს ისრაელი მედილეგენი სასტიკად აწამებენ და აბუჩად იგდებენ. სამხრეთ ლიბანში მდებარე ანსარის საკონცენტრაციო ბანაკის ერთ-ერთმა ყოფილმა პატიმარმა, 24 წლის ლიბანელმა ჰათემ ბაშრუშმა არაბეთის გაზეთ „აშ-შარქ ალ-აუსათის" კორესპონდენტთან საუბრისას განაცხადა, დაპატიმრების დროს ისრაელმა მედილეგეებმა ხელები შემიკრეს, თავზე ტომარა ჩამომაცვეს და მცემეს. უფლება არ მომცეს, თქვა ბაშრუშმა, დამეძინა და ავმდგარიყავი სკამიდან ხუთი დღის მანძილზე, როცა ვეღარ ვძლებდი და ვაძინებდი, მაშინვე მცემდნენ.

◆ **სან-ფრანცისკო.** ამერიკის შეერთებული შტატების ცნობილმა საზოგადო და რელიგიურმა მოღვაწემ სან-ფრანცისკოს არქიეპისკოპოსმა ჯონ კუინმა გააკრიტიკა რეიგანის ადმინისტრაციის მილიტარისტული საგარეო-პოლიტიკური კურსი. აღნიშნა რა, თუ რაოდენ სახიფათოა თეთრი სახლის „კოსმოსური ომებისათვის" მზადების გეგმები, მან მოუწოდა ყველას დაუყოვნებლივ აიკრძალოს კოსმოსური იარაღი, მხარი დაუჭირა პროგრესს შეიარაღებისადმი კონტროლის დარგში. ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციამ, თქვა, კერძოდ, კუინმა, უარი უნდა თქვას „ემექს" რაკეტების მშენებლობის პროგრამაზე.

◆ **ტოკიო.** ის, რომ იაპონიის ტერიტორიაზე გადაიყვანეს ფ-16 უახლესი ამერიკული გამანადგურებელი-ბომბდამშენები და ამასთანავე „ტომაგავკის" ტიპის ფრთოსანი რაკეტებით აღჭურვეს ამერიკის შეერთებული შტატების წყნარი ოკეანის ფლოტის ხომალდები, გადააქცევს იაპონიას პენტაგონის დამკვრელ ბირთვულ პლაცდარმად, მნიშვნელოვნად გაადიდებს ბირთვულ კონფლიქტში ჩვენი ქვეყნის ჩათრევის საფრთხეს, წერს იაპონიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური ორგანო გაზეთი „აკაჰატა".

მდგომარეობა სუდანში

კაირო. მენის სააგენტომ გაავრცელა განცხადება სუდანის მთავარი სამხედრო სარდლობისა, რომელმაც ქვეყანაში ძალაუფლება აიღო ხელში.

განცხადებაში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ სუდანი ერთგულობს ორმხრივ, რეგიონალურ და საერთაშორისო ქარტიებს, ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების მუხლებს, მათ შორის განსაკუთრებით ისეთებს, რომლებიც ეხება სახელმწიფოთა სუვერენიტეტს, მათ საშინაო საქმეებში ჩაურევლობასა და მშვიდობიანი საშუალებებით კონფლიქტების გადაწყვეტას.

სუდანი, აღნიშნულია განცხადებაში, ადასტურებს თავის ერთგულებას მიუმხრობლობის პრინციპებისადმი და უარს ამბობს სამხედრო ბლოკებსა და დაჯგუფებებში მონაწილეობაზე.

დოკუმენტში ნათქვამია, რომ სუდანი ისწრაფვის შეასრულოს თავისი მოვალეობანი არაბული ქვეყნების ლიგისა და აფრიკის ქვეყნების ერთობის ორგანიზაციის წესდების შესაბამისად, მტკიცედ უჭერს მხარს პალესტინის არაბ ხალხს და ხელს შეუწყობს მისი ხელშეუვალი უფლებების, მათ შორის თვითგამორკვევისა და საკუთარი დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის უფლების უზრუნველყოფაში.

სუდანი, აღნიშნულია შემდეგ, მტკიცედ უჭერს მხარს აფრიკელ ხალხებს რასიზმისა და რასობრივი დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლაში.

განცხადებაში საშინაო-პოლიტიკურ პრობლემებზე, რომელიც აგრეთვე მენის სააგენტომ გადასცა, ძირითად მიზნებად დასახელებულია ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სოციალურ დარგებში წინანდელი ხელისუფლების პერიოდის ყველა შედეგის დაძლევა, აგრეთვე ეროვნული მოქმედების ქარტიის მომზადება, რომელიც გაითვალისწინებს ქვეყნის სრულ დამოუკიდებლობასა და ეროვნული ერთიანობის შენარჩუნებას, პრესისა და აზრთა გამოთქმის თავისუფლებას, პიროვნების ძირითადი თავისუფლებების გარანტიას და სარწმუნოების თავისუფლებას, პოლიტიკური ცხოვრების დემოკრატიზაციას.

დოკუმენტში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ საჭიროა შეწყდეს სისხლისღვრა სამხრეთ სუდანში მხარეების უშუალო და თანასწორუფლებიანი დიალოგის გზით. და უზრუნველყონ სამხრეთის რაიონების შემდგომი სოციალურ-ეკონომიკური განვითარება.

გათვალისწინებულია აგრეთვე რადიკალური ღონისძიებების განხორციელება ეკონომიკური კრიზისის დაძლევისა და ეროვნული ეკონომიკის განმტკიცებისათვის, შეიარაღებული ძალებისა და უშიშროების ორგანოების გარდაქმნა ხალხისა და მისი მონაპოვრების დაცვის ინტერესებისათვის.

სუდანის ახალმა ხელმძღვანელობამ განაცხადა, რომ ქვეყანაში უნდა შეიქმნას დემოკრატიული კლიმატი, რომელიც უზრუნველყოფს თავისუფალი და დამოუკიდებელი არჩევნების მოწყობას. მან დაადასტურა, რომ არ ისწრაფვის წინანდელი ხელისუფლება შეცვალოს სამხედრო რეჟიმით, რომელიც ხალხს მის პოლიტიკურ უფლებებს ართმევს.

როგორც ხართუმიდან იუწყებიან, სუდანში ვითარება თანდათან ნორმალურ კალაპოტში დგება. ქვეყნის რამდენიმე უდიდესი პროფგაერთიანების მუშა-მოსამსახურეებმა, მათ შორის მენავთობეებმა, ფეიქრებმა, კავშირგაბმულობის მუშაკებმა განაცხადეს, რომ წყვეტენ გაფიცვას, რომლის მიზეზი გახდა წინანდელ ხელისუფალთა გადაწყვეტილება პირველი საჭიროების საქონლის მკვეთრი გაძვირების შესახებ. მუშაობას აახლებს რკინიგზის ტრანსპორტის სამმართველო, უკვე შეუდგნენ მუშაობას ექიმები, ჟურნალისტები, სუდანის ტელევიზიისა და რადიოს მუშაკები.

დიდი სამამულოს ქრონიკები

აი, რას წერდა გაზეთი „კომუნისტი“ 40 წლის წინათ.

1945 წლის 6-9 აპრილი

◆ **უკრაინის მე-2 ფრონტის** ჯარებმა 4 აპრილს იერიშით დაიკავეს სლოვაკიის დიდმნიშვნელოვანი სამრეწველო ცენტრი და მთავარი ქალაქი ბრატისლავა. ამ ბრძოლებში თავი გამოიჩინეს აგრეთვე პოლკოვნიკ გაგუას ჯარებმა.

◆ **უკრაინის მე-4 ფრონტის** (სარდალი — არმიის გენერალი ერიომენკო) ჯარებმა 5 აპრილს დაიკავეს ქალაქი რუჟომბეროკი (ჩეხოსლოვაკიაში). ამ ქალაქის დაკავებისათვის ბრძოლებში თავი გამოიჩინეს აგრეთვე ჩეხოსლოვაკიის ბრიგადის გენერალ სვობოდას კორპუსის ჯარებმა.

◆ **უკრაინის მე-2 ფრონტის** ჯარებმა, რომლებიც შეტევას განაგრძობენ, 5 აპრილს დაიკავეს ქალაქები და დიდმნიშვნელოვანი სარკინიგზო კვანძები მალაცკი და ბრუკი; ამავე დროს ფრონტის ჯარებმა ბრძოლებით დაიკავეს ქალაქები — პრევიძა და განოვცე — გერმანელთა თავდაცვის ძლიერი საყრდენი პუნქტები კარპატების ზოლში.

◆ **საბჭოთა** კავშირის გმირის წოდება მიენიჭათ წითელარმიელ ვლადიმერ ივანეს ძე პაპიძეს, უფროს სერჟანტ გრიგოლ ხვადაგიანის ძე სამხარაძეს და უფროს სერჟანტ სერგო ალიხრაშის ძე ჩხაიძეს.

◆ **მარშალმა** ტიტომ, რომელიც 5 აპრილს მოსკოვს ჩამოვიდა, შემდეგი განცხადება გააკეთა მიკროფონის წინ აეროდრომზე: „დიდ სიხარულს ვგრძნობ, რომ შემიძლია დღეს აქ, საბჭოთა კავშირის დედაქალაქში, მხურვალე სალამი და დიდი მადლობა გადავცე საბჭოთა კავშირს იმ უდიდესი მორალური და მატერიალური დახმარებისათვის, რომელიც გაუწია და უწევს იუგოსლავიის ხალხებს მათს მძიმე ბრძოლაში გერმანელი ოკუპანტებისა და მათი კვისლინგების წინააღმდეგ“.

◆ **ჭიათურა** („კომუნისტის“ საკ. კორ.). აქ მიღებულია ცნობა, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1945 წლის 31 მარტის ბრძანებულებით ორდენებითა და მედლებით დაჯილდოებულია ჭიათურის მანგანუმის მრეწველობის 34 მუშაკი. ამ ცნობამ ჭიათურის მაღაროებში შრომითი ენთუზიაზმის ახალი აზვირთება გამოიწვია. მაგალითად, ლენინის ორდენით დაჯილდოებულმა სტახანოველმა ს. ოთინაშვილმა განაცხადა, გაორკეცებით ვიმუშავებ და ყოველდღიურ ნორმებს სისტემატურად 200 პროცენტით შევასრულებო.

◆ **6 აპრილს** სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარეს მარშალ ი. ბ. სტალინს საუბარი ჰქონდა იუგოსლავიის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარესთან მარშალ ი. ბროზ-ტიტოსთან.

◆ **საბჭოთა** კავშირის გმირის წოდება მიენიჭათ გვარდიის კაპიტან ალექსანდრე ნიკოლოზის ძე ხიზანიშვილს, სერჟანტ შოთა პეტრეს ძე როსტიაშვილს, ზემდეგ ვასილ შალვას ძე კვაჭანტირაძეს და უფროს ლეიტენანტ აბიბო ერასტის ძე მიმინოშვილს. ზემდეგი ივანე ვლადიმერის ძე გზირიშვილი და სერჟანტი კონსტანტინე ალექსის ძე დათუნაშვილი დაჯილდოებული არიან I ხარისხის დიდების ორდენით.

◆ **7 აპრილს** სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარემ ი. ბ. სტალინმა მიიღო „რუსეთის დახმარების ფონდის“ ბრიტანეთის კომიტეტის თავმჯდომარე ქ-ნი კლემენტინა ჩერჩილი. მიღებას დაესწრო „რუსეთის დახმარების ფონდის“ მდივანი ქ-ნი ბ. ჯონსონი.

◆ **საბჭოთა** კავშირის გმირის წოდება მიენიჭა გენერალ-მაიორ ერმილო გრიგოლის ძე კობერიძეს.

◆ **მიულჰაუზენის** სამხრეთით მდებარე მარილის მაღაროებში ამერიკის მე-3 არმიის 90-ე დივიზიის ჯარისკაცებმა იპოვეს გერმანიის სახელმწიფო ბანკის ოქროს მარაგი, რომელიც დაახლოებით 100 ტონა ოქროს ზოდს შეადგენს. გარდა ამისა, მაღაროში აღმოჩენილია სამი მილიარდი ქაღალდის მარკა, ორი მილიონი ამერიკული დოლარი, ასი მილიონი ფრანკი, 110 ათასი ინგლისური გირვანქა სტერლინგი.

სტუდენტური დღეები

ჩვენ მეათედ მოვიდა გაზაფხულთან ერთად „სტუდენტური“ დღეები“. მართლაც რომ, შესანიშნავ, ღრმა შინაარსით აღსავსე ტრადიციად დამკვიდრდა იგი.

არადა, თითქოს გუშინ აინთო პირველად ჩირაღდანი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში „სტუდენტური დღეების“ დაწყების ნიშნად. მერე მთელი რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლების ქალიშვილებმა და ჭაბუკებმა ერთსულოვნად აიტაცეს თავიანთი თბილისელი თანატოლების თაოსნობა, ასე ამაღელვებლად და შთამბეჭდავად რომ გამოხატავს უსაზღვრო ერთგულებას უფროსი თაობის რევოლუციური, საბრძოლო და შრომითი ტრადიციებისადმი, ლენინური პარტიის წმინდათაწმინდა იდეალებისადმი, მათს მისწრაფებას ქვეყნად მშვიდობის განმტკიცებისადმი.

ისინი, ვინც პირველ „სტუდენტურ დღეებს“ უძღვნენ ბალავარს, საკმაო ხანია დაემშვიდობნენ თავიანთ მშობლიურ სასწავლებლებს, მათი წამოწყება კი წლითიწლობით მდიდრდება ახალი შინაარსით და უფრო წარმტაცი, მრავალფეროვანი ხდება. სწორედ ისე, როგორც ჭეშმარიტ დღესასწაულს შეშვენის, ეს დღეები ყოველთვის განუმეორებელია და ამიტომაც — უფრო შთამბეჭდავი.

მისი წარმატების ერთი მთავარი პირობათაგანი უთუოდ ისიც არის, რომ მრავალფეროვანი, სტუდენტური წლებისათვის განუყრელი სიხალისითა და საზრიანობით აღსავსე პროგრამის შედგენაში ჩვენი უმაღლესი სასწავლებლების თითქმის ყველა სტუდენტი მონაწილეობს, ხოლო იმისათვის, რომ პროგრამას ყოველთვის წარმატებით ესხმება ხორცი, სტუდენტებთან ერთად, რაღა თქმა უნდა, მადლობა ეთქმით მათს უფროს მეგობრებსა და მასწავლებლებს — უმაღლესი სკოლის მესვეურებს, რესპუბლიკის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს მუშაკებს, პარტიულ, საბჭოთა ხელმძღვანელებს, ყველას, ვინც არც დროს, არც ენერგიას არ იშურებს, რათა ახალგაზრდობის კეთილი წამოწყება კეთილად დაგვირგვინდეს.

სწორედ ამგვარი თანადგომის კონკრეტული გამოხატულება გახლავთ ის ფაქტი, რომ „სტუდენტური დღეების“ მონაწილეებისათვის დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების 40 წლისთავთან დაკავშირებით მოეწყო მოგზაურობა საბრძოლო დიდების ადგილებში. საგანგებო სტუდენტურმა მატარებელმა თბილისის უმაღლესი სასწავლებლების ხუთასკაციანი რაზმი ამოგზაურა მარშრუტით თბილის-ვოლგოგრად-როსტოვ-თბილისი. ნანახსა და მოსმენილს განსაკუთრებით დაუვიწყარს ხდიდა ისიც, რომ სტუდენტებთან ერთად ამ მოგზაურობაში იყვნენ მათი პროფესორ-მასწავლებლები — დიდი სამამულო ომის მონაწილენი, ლეგენდარული სტალინგრადის მამაცი დამცველები. ზამთრის არდადეგების დროს რესპუბლიკის სხვა ქალაქების უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტები ეწვივნენ გმირ ქალაქებს მოსკოვს, ლენინგრადს, სევასტოპოლს, ოდესას.

სტუდენტთა დელეგაციებმა არა მარტო დაათვალიერეს საბრძოლო დიდების ადგილები, არამედ გმირ ქალაქებში თავიანთი თვითმოქმედებაც წარმოადგინეს. რაც მთავარია, მოგზაურობაში არაერთი მნიშვნელოვანი და ამაღელვებელი დოკუმენტი მოიძიეს კვალმაძიებლებმა. მათ მიერ მოპოვებულ მასალებს წარმოადგენენ გამოფენებზე „პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტობა დიდ სამამულო ომში“.

აი, ასე: განსაკუთრებული აზრითა და მისწრაფებით იყო აღსავსე წლევანდელი „სტუდენტური დღეებისათვის“ განკუთვნილი მთელი მოსამზადებელი დრო, დღეებისა, რომლის არსსა და სულისკვეთებას ტევადად გამოხატავს დევიზი: „ღირსეულად შევხვდეთ სკკპ XXVII ყრილობას, საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობას, დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების 40 წლისთავს და ახალგაზრდათა და სტუდენტთა XII მსოფლიო ფესტივალს!“ ახლანდელ სტუდენტურ ზეიმს გამორჩეულს ხდის ის გარემოებაც, რომ 1985 წელი ახალგაზრდობის საერთაშორისო წლად არის გამოცხადებული.

ნანახსა და განცდილზე, უკვე მიღწეულსა და სამერმისო გეგმებზე, ახალგაზრდობისა და სტუდენტთა მსოფლიო ფესტივალისათვის სამზადისზე, რომლის გამართვის პატივი ჩვენი ქვეყნის დედაქალაქს ხვდა წილად, ჩვენი რესპუბლიკის სტუდენტებს საქმიანი სჯა-ბაასი ექნებათ გმირი ქალაქებიდან — მოსკოვიდან, ლენინგრადიდან, ვოლგოგრადიდან, კიევიდან, მინსკიდან, ქერჩიდან, ნოვოროსიისკიდან, ოდესიდან, ტულიდან, ბრესტიდან, მოძმე რესპუბლიკების დედაქალაქებიდან — ბაქოდან და ერევნიდან სტუმრად ჩამოსულ თავიანთ ტოლსწორებთან. მასპინძელთა კვალად, ზეიმში აქტიურ მონაწილეობას იღებენ ჩვენი რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში წარმოგზავნილი უცხოელი სტუდენტები, ასპირანტები და სტაჟიორები.

„სტუდენტური დღეები — 85“ დაიწყო 8 აპრილს. მისი პროგრამა ისეა შედგენილი, რომ ახალგაზრდებმა შეძლონ მთელი სისავსით გამოხატონ თავიანთი ყველაზე სანუკვარი მისწრაფებები, ნიჭი და უნარი, სამეცნიერო ინტერესები და ორგანიზატორული ჩვევები.

ტრადიციულად „სტუდენტური დღეების“ პროგრამაშია ლენინური ჩათვლები, საზოგადოებრივ-პოლიტიკური პრაქტიკის ატესტაცია, XI საკავშირო ოლიმპიადის „სტუდენტი და სამეცნიერო პროგრესი“ რესპუბლიკური ტური, მასობრივი კონკურსები საუკეთესო ნარკვევის, მოთხრობის, ლექსის, ნახატის, ფოტონამუშევრისათვის. მოეწყობა სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენცია-კონკურსი დევიზით: „საბჭოთა ხალხების მეგობრობა სოციალისტური საზოგადოების მამოძრავებელი ძალაა“. ზეიმს კიდევ უფრო დასახსომებელს გახდის ინტერნაციონალური მეგობრობის საღამოები, სტუდენტთა მხატვრული თვითმოქმედების დათვალიერება და თეატრალური კოლექტივების ფესტივალები, რომლებიც ამჯერად შრომით კოლექტივებში გაიმართება.

ზეიმის მონაწილენი კოლექტიურად ეწვევიან ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის თბილისის ფილიალს, ხალხთა მეგობრობის, საქართველოს კომკავშირის ისტორიის, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ჯარების ისტორიის მუზეუმებს, კომკავშირულ ქალაქს, შეხვდებიან შრომის მოწინავეებს, მეცნიერებს, შემოქმედი ინტელიგენციის წარმომადგენლებს. ასევე დაუვიწყარ შთაბეჭდილებებს ჰპირდება მათ უშუალო კონტაქტები პარტიისა და კომკავშირის, დიდი სამამულო ომისა და შრომის ვეტერანებთან.

უთუოდ, შთამბეჭდავი იქნება სტუდენტთა და მოსწავლეთა მასობრივი მიტინგი, რომლის დევიზია „ანტიიმპერიალისტური სოლიდარობისათვის, მშვიდობისა და მეგობრობისათვის!“.

რაღა თქმა უნდა, სტუდენტები 21 აპრილს ერთსულოვან მონაწილეობას მიიღებენ კომუნისტური შრომის ჭეშმარიტ დღესასწაულში — ლენინურ შაბათობაში.

და კვლავ — შესანიშნავი ტრადიციის ერთგულების დასტური: „სტუდენტური დღეები — 85“ დასრულდება სტუდენტთა აქტივის რესპუბლიკური კრებით. ამ კრებაზე ჩვენი სტუდენტი ახალგაზრდობა უპატაკებს მშობლიურ კომუნისტურ პარტიასა და საბჭოთა მთავრობას, თუ როგორ სწავლობს და შრომობს, როგორ ილვწის და ემზადება, რათა ერთგულად განაგრძოს მამათა სახელოვანი საქმეები, იყოს მომავალი XXI საუკუნის ღირსეული მკვიდრი.

ბეჯითი სწავლისა და შემოქმედებითი შრომისათვის ჩვენს სტუდენტობას, ისევე როგორც მთელ საბჭოთა ახალგაზრდობას, პირველ ყოვლისა განაწყობს და შთააგონებს მისი დღევანდელი და ხვალინდელი ნათელი დღისათვის ის უსაზღვრო ზრუნვა და ყურადღება, რომელსაც მშობლიური კომუნისტური პარტია და საბჭოთა სახელმწიფო იჩენენ. ამგვარ ამაგს და ღვაწლს ესინი ხომ ყველგან და ყოველთვის გრძნობენ — სასწავლო აუდიტორიებსა თუ ლაბორატორიებში, სტუდენტურ საცხოვრებლებსა თუ ბიბლიოთეკებში, სწავლისა თუ შრომის, შემოქმედებითი ძიებისა თუ დასვენების ჟამს.

ეს ჩვენი ცხოვრების წესია, ჩვენი კომუნისტური პარტიის ერთი მთავარი დიდებული ლენინური ტრადიცია:

ხვალინდელ დღეზე ფიქრი პირველ ყოვლისა ჩვენს ახალ თაობაზე ფიქრია.

ახალგაზრდობა ჩვენი მომავალი ცვლა და საიმედო მემკვიდრეა.

ეს კი არა მარტო დიდ უფლებებს ანიჭებს, დიდ მოვალეობასაც აკისრებს მას.

„მემკვიდრეობითობა — ეს ხომ ახალგაზრდობის მიერ მარტოოდენ წინა თაობების დაწყებული საქმის განგრძობა როდია, ეს არის აგრეთვე უნარი — განავითარო და თვისებრივად ახალ საფეხურზე აიყვანო იგი. გასცდე არსებულ ჩარჩოებს შთანაფიქრითა და შემოქმედებითი შემართებით. აი რად მართებს ახალგაზრდობას უფრო ბეჯითად ისწავლოს, შეიარაღდეს ყოველივე იმ საუკეთესოთი, რაც კი რამ გაგვაჩნია დღესდღეობით, მოიხმაროს შეძენილ გამოცდილებასთან ერთად თავისი ცოდნა, თავისი გაზრდილი ინტელექტი და ყოველივე ამის მეოხებით დააჩქაროს ნათელი და მშვენიერი კომუნისტური მომავლის დადგომა“, — აღნიშნავს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ე. ა. შევარდნაძე.

„სტუდენტური დღეები-85“ უეჭველად იქცევა დაუვიწყარ და ნათელ დემონსტრაციად იმისა, თუ როგორ სწავლობს და შრომობს, როგორ ემზადება ჩვენი უმაღლესი სასწავლებლების ახალგაზრდობა, რათა გაამართლოს მშობელი ქვეყნისა და ხალხის ამაგი, თავდადებით იღვაწოს კომუნიზმის იდეალების დასამკვიდრებლად.

თ. მეტრეველი.

გიორგი დარისპანაშვილი

ქართულმა საბჭოთა თეატრალურმა ხელოვნებამ დიდი დანაკლისი განიცადა — გარდაიცვალა საქართველოს სსრ სახალხო არტისტი, რესპუბლიკური მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი, სკკპ წევრი 1955 წლიდან გიორგი ნიკოლოზის ძე **დარისპანაშვილი.**

იგი დაიბადა 1905 წელს ქ. თბილისში. სასცენო მოღვაწეობა დაიწყო 1920 წელს. მან ერთ-ერთმა პირველმა ჩამოაყალიბა ახალგაზრდა სცენისმოყვარეთა წრე და დაიწყო სპექტაკლების გამართვა თბილისსა და მის ახლო სოფლებში.

1926 წელს გ. დარისპანაშვილი მსახიობად მუშაობს თბილისის მუშათა თეატრში, სადაც საკმაო გამოცდილება შეიძინა რეჟისორ ძიძიგურ ჭიაურელთან თანამშრომლობით.

1928-1933 წლებში გ. დარისპანაშვილი თბილისის მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო ქართული თეატრის მსახიობია. 1933-1936 წლებში ველისციხისა და ჭიათურის სახელმწიფო თეატრებში მუშაობს მსახიობად, ხოლო 1936 წლიდან გ. დარისპანაშვილი კვლავ უბრუნდება მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო ქართულ თეატრს, სადაც მან თითქმის ორმოცი წელი იმუშავა და ასზე მეტი როლი განასახიერა.

დიდია მისი წვლილი და დამსახურება ქართულ მოზარდ მაყურებელთა თეატრის დაარსებაში, ახალგაზრდა თაობების აღზრდის კეთილშობილურ საქმეში.

გ. დარისპანაშვილის აქტიორული ხელოვნება გამოირჩეოდა სიმართლით, ჭეშმარიტი განცდით და მოქალაქეობრივი ქღერადობით. მის მიერ განხორციელებულ გმირებში მსახიობი ძლიერი შინაგანი განცდით მაღალი იდეებისათვის მებრძოლი ადამიანის თვისებებს გამოკვეთდა და ამით მოზარდ თაობაში გმირობისა და თავგანწირვის სურვილს ბადებდა. ასეთ გმირთა რიცხვს უნდა მივაკუთვნოთ ლადო კეცხოველი (გ. ნახუცრიშვილისა და ბ. გამრეკელის „ლადო კეცხოველი“), ფელიქს ძერჟინსკი (გ. შატროვის „რევოლუციის სახელით“), ლესელიძე (გ. ნახუცრიშვილის — „გენერალი ლესელიძე“), ემელიანე პუგაჩოვი (ა. პუშკინის „კაპიტნის ქალიშვილი“), რობინ ჰუდი (ა. ზაიაცკის „რობინ ჰუდი“), ბიძინა ჩოლოყაშვილი (აკაკი წერეთლის „ბაში-აჩუკი“).

გარდა გმირულ-ჰეროიკული ამპლუასა, იგი ბრწყინვალედ ასრულებდა დრამატულ და სახასიათო როლებს, რომელთაგან განსაკუთრებით გამოირჩეოდა დურმიშხანი (დ. ჭონქაძის „სურამის ციხე“), კომბლე (გ. ნახუცრიშვილის „კომბლე“), ლორენცო (შექსპირის „რომეო და ჯულიეტა“), ფრიც ბაუერი (ნ. საცის „ფრიც ბაუერი“) და სხვ.

გ. დარისპანაშვილმა თავის მშობლიურ თეატრში რამდენიმე წარმოდგენა დადგა: ს. მთვარაძის „ოქროს რგოლი“, ა. კაჭკაჭიშვილის „პარტიზანები“, გ. ბერძენიშვილის „სერგო“, ნ. ლომოურის „ქაჯანა“, არის ათამდე პიესის ავტორი, რომელთაგან აღსანიშნავია: „ხიდქვეშ“, „ძმები“ და „ტყის მეგობარი“.

გ. დარისპანაშვილი ქართული თეატრალური ხელოვნების განვითარებაში დამსახურებისათვის დაჯილდოებული იყო „საპატიო ნიშნის“ ორდენით და მედლებით.

შესანიშნავი ხელოვნისა და მოქალაქის გ. დარისპანაშვილის ნათელი ხსოვნა ყოველთვის იცოცხლებს მადლიერი მაყურებლის ხსოვნაში.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრო; საქართველოს თეატრალური საზოგადოება; მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო ქართული თეატრი.

პოეზია მეგობრობის ენაა

თბილისის უნივერსიტეტის სსრ კავშირის ხალხთა ლიტერატურისა და მხატვრული თარგმანის კათედრის ინიციატივით მოეწყო საღამო თემაზე „პოეზია მეგობრობის ენაა“, რომელზეც სლოვაკურ ენაზე აჟღერდა ილია ჭავჭავაძის ლექსები, რუსულ ენაზე — გალაკტიონ ტაბიძისა და ტერენტი გრანელის ქმნილებები, ბელორუსულ ენაზე — ახალგაზრდა ქართველი პოეტების გივი სულაკაურისა და ნუგზარ კობერიძის ნაწარმოებები. სლოვაკი ანდრეა ადალოვიჩოვას, რუსი ვლადიმერ სვეტლოსანოვის, ბელორუსი ვლადიმერ სივჩიკოვის, ქართველების თამარ პაპალაშვილის, ინგა მილორავას, გია ხიამაშვილისა და სხვებისათვის უნივერსიტეტი არა მარტო უმაღლესი სასწავლებელია, სადაც ისინი ეუფლებიან არჩეულ პროფესიას, არამედ აგრეთვე სწავლობენ ერთმანეთის გაგებას, ეზიარებიან მთავარს — ვის უნდა ემსახურებოდეს მათი ხელოვნება. თბილისის უნივერსიტეტი ჩინებული კერაა, რომელიც შესაძლებლობას იძლევა განავითარონ საბჭოთა ქვეყნის ახალგაზრდა წარმომადგენელთა შემოქმედებითი ინდივიდუალობა და მათი შემოქმედებითი თანამეგობრობა. სწორედ ასეთი თანამეგობრობის ნაყოფი გახდა ფილოლოგიის ფაკულტეტის იმ სტუდენტთა მიერ მომზადებული კრებულები, რომლებმაც სპეციალობად მხატვრული თარგმანი აირჩიეს.

დიადი გამარჯვების 40 წლისთავისათვის ისინი ამზადებენ რიგით მეოთხე ორენოვან კრებულს, რომელშიც შევა ფაშიზმთან საბჭოთა ხალხის გმირული ბრძოლისადმი მიძღვნილი საუკეთესო პოეტური ნიმუშები. რუსი პოეტების ლექსები აჟღერდება ქართულ, ხოლო ქართველებისა — რუსულ ენაზე.

ახლა ფილოლოგიის ფაკულტეტზე მხატვრული თარგმანის ხელოვნებას ეუფლებიან აზერბაიჯანელი, ბელორუსი, ესტონელი, რუსეთის სფს რესპუბლიკის წარმომადგენელი სტუდენტები, ხოლო ქართველი ქალიშვილები და ჭაბუკები ამ ხელოვნებას ეზიარებიან უკრაინის, ლიტვის, მოლდავეთის უმაღლეს სასწავლებლებში.

სურათზე: „პოეზია მეგობრობის ენაა“ საღამოს მონაწილე სტუდენტთა ჯგუფი.

ი. შლამოვის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

კონკურსები... კონკურსები...

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრო თვითმოქმედი საესტრადო კოლექტივებისათვის თანამედროვეობის ამსახველი ლიტერატურული ნაწარმოებების შესაქმნელად აცხადებს კონკურსს, რომელიც სკკპ XXVII და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობებს ეძღვნება.

საკონკურსოდ წარმოდგენილი სკეტჩები, დრამატული ეტიუდები, ფელეტონები, მინიატიურები, ინტერმედიები, კონფერანსები, ნოველები, მონოლოგები და შაირები უნდა ასახავდნენ საბჭოთა ხალხის ურღვევ ერთიანობას, სოციალისტურ ინტერნაციონალიზმს, პატრიოტიზმს, შრომით წარმატებებსა და ჩვენს სინამდვილეში არსებულ ნაკლოვანებათა მხილებას. კონკურსში მონაწილეობა შეუძლიათ როგორც პროფესიონალ, ისე თვითმოქმედ ავტორებს.

საკონკურსოდ მიიღება ის ორიგინალური საესტრადო ნაწარმოებები, რომლებიც წინათ არც გამოქვეყნებულა და არც შესრულებულა.

ნაწარმოებები წარმოდგენილი უნდა იყოს ორ ეგზემპლარად, მანქანაზე ორი ინტერვალით დაბეჭდილი, დევიზით. იმავე დევიზით — დაბეჭდილ კონვერტში აღნიშნული უნდა იყოს ავტორის ვინაობა, სპეციალობა და მისამართი.

გამარჯვებულთათვის დაწესებულია ფულადი პრემიები.

ავტორს რამდენიმე ნაწარმოების წარმოდგენა შეუძლია. საკონკურსო ნაწარმოებების წარმოდგენის ვადაა 1985 წლის 15 ივნისამდე შემდეგი მისამართით: ქ. თბილისი, რუსთაველის პროსპექტი №19, მხატვრული თვითმოქმედების სარედაქციო-სარეპერტუარო კოლეგია, „კონკურსისათვის!“

კიდევ ერთ კონკურსს აცხადებს საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრო, რომელიც აგრეთვე სკკპ XXVII და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობებს ეძღვნება. ეს არის კონკურსი საუკეთესო საესტრადო სიმღერებისათვის.

კონკურსის მიზანია ხელი შეუწყოს თვითმოქმედი საესტრადო ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლების შევსებას ისეთი ახალი მაღალმხატვრული და მაღალიდეური მუსიკალური ნაწარმოებებით, რომლებშიც აისახება საბჭოთა ხალხის პატრიოტიზმი, სოციალისტური ინტერნაციონალიზმი, საბრძოლო და შრომითი გმირობა, მისწრაფება საყოველთაო მშვიდობის განმტკიცებისადმი.

საკონკურსოდ მიიღება მხოლოდ გამოქვეყნებულ ლიტერატურულ ტექსტებზე შექმნილი ის ორიგინალური საესტრადო სიმღერები, რომლებიც წინათ არ შესრულებულა და დაბეჭდილა.

სიმღერების ნოტები გადაწერილი უნდა იყოს შავი ტუშით, ხოლო ლიტერატურული ტექსტები — მანქანაზე გადაბეჭდილი ორი ინტერვალით — ორ ეგზემპლარად.

ნოტები წარმოდგენილი უნდა იყოს დევიზით, იმავე დევიზით კი დაბეჭდილ კონვერტში უნდა აღინიშნოს ავტორის ვინაობა, სპეციალობა და მისამართი.

გამარჯვებულთათვის დაწესებულია ფულადი პრემიები. პრემირებულ ნაწარმოებებს მიეცემათ რეკომენდაცია გამოსაქვეყნებლად, შესაძენად და შესასრულებლად.

საკონკურსო ნაწარმოებები უნდა წარმოადგინოთ მიმდინარე წლის 20 მაისამდე შემდეგი მისამართით: ქ. თბილისი, რუსთაველის პროსპექტი №19, საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს მხატვრული თვითმოქმედების სარედაქციო-სარეპერტუარო კოლეგია, „საესტრადო სიმღერის კონკურსისათვის“.

ჩვენს ტელეეკრანებზე

მოსკოვი

9 აპრილი

პირველი პროგრამა. 9.00 — ...

მეორე პროგრამა. 9.00 — დილის ვარჯიში. 9.15 — დოკუმენტური ტელეფილმი. 10.05 და 14.10 — ფრანგული ენა. 11.05 — პროფტექნიკური სასწავლებლებისათვის. ქანდაკება. 11.35 და 12.40 — მუსიკა. VII კლასი. 12.05 — საჭადრაკო სკოლა. ...

თბილისი

9 აპრილი

... თიაშვილი). 16.45 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი „ახლო ვარსკვლავები“. 17.00 — „დიადი გამარჯვების 40 წლისთავისათვის“. სატელევიზიო დოკუმენტური ...

... ტელევიზიო ფილმ-ბალეტი „აღმოსავლური თქმულება“. 18.10 — მოსწავლეთათვის. ბიოლოგია.

თეატრი

9 აპრილი

ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — აიდა; მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — მარადისობის კანონი; თბილისის სახელმწიფო დრამატული — ჭინჭრაქა (პრემიერა); აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — სიმღერა მანც დამიტოვეთ; მინიატიურების სახელმწიფო — ნაკრები; მოზარდ მაყურებელთა ქართული (პლეხანოვის გამზირი № 127-ა) — ქამუშაძის გაჭირვება (№ 68 აბონ. 7 ს.); ფილარმონია — ვია „იველია“ — „არგონავტები“ (დიდ საკონცერტო დარბაზში); საქართველოს სახელმწიფო კამერული ორკესტრი (კონსერვატორიის დიდ დარბაზში).

ფეხბურთი—85

ყაბახი

მეტი სიმწყობრე, მეტი სილაღე!

უმაღლესი ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის მეექვსე ტურის შედეგებმა ბევრი გუნდი გათამაშების ცხრილში წინა ტურთან შედარებით თვისებრივად საკმაოდ სახეშეცვლილ პოზიციებზე განალაგა. უწინარესად სასიამოვნო ფაქტი ის გახლავთ, რომ ჩვენი რესპუბლიკის გუნდებმა — თბილისის „დინამომ“ და ქუთაისის „ტორპედომ“ შესამჩნევად გაიუმჯობესეს სატურნირო მდგომარეობა: „დინამო“ ერთპიროვნული ლიდერი გახდა, „ტორპედომ“ კი მეთექვსმეტე ადგილიდან მეთორმეტეზე გადაინაცვლა. თუ რამდენად სტაბილურია ეს პოზიციები, ამაზე ერთნიშნა პასუხის გაცემა ახლა ერთობ ძნელია. ნათელი მხოლოდ ის არის, რომ ამ პოზიციების განმტკიცებისათვის თამაშში მეტი სიმწყობრე და სილაღე გვმართებს.

თბილისის „დინამომ“, რომელმაც ამ ტურში როსტოვის არმიელთა გუნდს უმასპინძლა, ასეთი შემადგენლობით ითამაშა: გაბელია, ცეცხლაძე, ჩივაძე, ჭედია, არზიანი, კაკილაშვილი (ფრიდონაშვილი), სვანაძე, სულაქველიძე, ცაავა (მახარაძე), შენგელია, მესხი. ისევე, როგორც წინა მატჩებში, ამ დღესაც დინამოელთა ტერიტორიული უპირატესობა იმდენად დიდი იყო, რომ თბილისელებმა საბოლოოდ შეძლეს არმიელთა დამარცხება — 2:1. მეტოქეთა კარში პირველი ბურთი თავური დარტყმით გაიტანა ჭედიამ. ეს მოხდა 24-ე წუთზე, როცა მესხმა მახვილგონივრულად სიმაღლეზე მოუქრა ბურთი საიერიშოდ გამზადებულ თბილისელ მცველს. ამის შემდეგ მასპინძელთა თამაშში ერთგვარმა მოდუნებამ იჩინა თავი, რასაც როსტოველთა გააქტიურება მოჰყვა: მალუხინის დარტყმის შემდეგ გაბელია მარჯვედ ეუფლება ბურთს, მერე გალიაბას ექმნება კარის აღების შესაძლებლობა. და ბოლოს, პირველი ტაიმის მიწურულს, რაღაც სასწაულით... დინამოელთა კარის მხსნელად ძელი გვევლინება. მეორე ტაიმის დაწყებიდან ერთი წუთიც არ იყო გასული, რომ ანდრეევმა შეძლო წონასწორობის აღდგენა.

მაშინ კი, როცა ქულის დაკარგვის ზარმა დაჰკრა, დინამოელები კვლავ დაეუფლნენ ინიციატივას, იერიში იერიშს მოჰყვა, რომელთაგან ერთადერთი — 71-ე წუთზე კარის აღებით დამთავრდა. 2:1 თბილისელთა სასარგებლოდ! ამ მომენტში პირველი სვლა გააკეთა ჩივაძემ, გააგრძელა სვანაძემ, კარისკენ დაარტყა შენგელიამ, მოიგერია როსტოველთა მეკარემ, ხოლო იერიშის წამომწყებმა ჩივაძემ მიუსწრო უკან დაბრუნებულ ბურთს და გამარჯვების მაუწყებელი გოლით დაასრულა ყოველივე. ეს იყო მართლაც სწრაფად და საუცხოოდ გათამაშებული, ტექნიკური თითქმის უზადო კომბინაცია, ისეთი, რომელსაც მეტწილად წარმატება მოაქვს. სწორედ ასეთ თამაშს ველით დინამოელთაგან, და არც უსაფუძვლოდ, რადგან იგრძნობა ისიც, რომ მათ ამის პოტენცია აქვთ, მაგრამ ჯერჯერობით იშვიათად ახერხებენ ამ თვისებათა მთელი სისრულით წარმოჩენას (მათ ეს თვისებები მხოლოდ „შახტიორთან“ დიდი ანგარიშით გამარჯვებისას გამოავლინეს).

რაც შეეხება ქუთაისელ ტორპედოელებს, მათს თამაშში უკვე იკვეთება თანდათანობითი აღმავლობის ტენდენცია. ამის ერთ-ერთი დასტური გახლდათ მათი მატჩი ვორონეჟის „ფაკელთან“. ვორონეჟელებმა, ისევე როგორც ერთი კვირის წინ თბილისის დინამოელებთან, ქუთაისელებთან შეხვედრაშიც ძირითადი აქცენტი საკუთარი კარის დაცვაზე გაამახვილეს. უფრო მეტიც, ისინი იშვიათ საკონტრიერიშო მოქმედებასაც კი გაურბოდნენ, ერთთავად საკუთარი კარის მისადგომებთან იყვნენ და მხოლოდ და მხოლოდ ქულის გადარჩენისათვის იბრძოდნენ. ამ იგრეთ წოდებული ყრუ დაცვის ტაქტიკამ ვორონეჟელებს მხოლოდ ის მოუტანა, რომ ისინი მინიმალური ანგარიშით დამარცხდნენ — 0:1. ეს ერთადერთი ბურთი სტუმართა კარში 67-ე წუთზე გაიტანა კვერნაძემ, რომელიც სწრაფად გაიჭრა ვორონეჟელი მცველის მიერ მეკარისკენ უკან დაბრუნებული ბურთისაკენ, ყველას დაასწრო და ანგარიში გახსნა. ამრიგად, ქუთაისელებმა წლევანდელ სეზონში პირველი გამარჯვება იზეიმეს. ეს ერთი და სხვა მრავალი! ამ დღეს „ტორპედოს“ შემადგენლობა ასეთი გახლდათ: ქანთარია, ფრუიძე, კუდინოვი, ჭელიძე, შეიცოვი, ჯოხაძე (თვარაძე), კორღალიძე, კერესელიძე, მეგრელაძე (ხაგბა), ვ. შენგელია, კვერნაძე).

გთავაზობთ სხვა მატჩების შედეგებსაც: „არარატი“-„ზენიტი“ — 1:0, „ნეფთჩი“-მოსკოვის „სპარტაკი“ — 2:2.

დღევანდელის გათამაშების ცხრილში გუნდები ასეთი თანმიმდევრობით არიან განლაგებულნი:

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინ.“ თბ	5	4	1	0	10-2	9
„სპარტაკი“	5	3	2	0	11-3	8
„დინ.“ კ	5	3	1	1	10-3	7
„დნეპრი“	4	2	2	0	8-2	6
„დინ.“ მ	5	2	2	1	7-5	6
„არარატი“	5	2	2	1	5-4	6
„დინ.“ მნ	4	2	1	1	4-2	5
„შახტიორი“	5	2	1	2	9-8	5
„ნეფთჩი“	6	2	1	3	6-7	5
ასკ რ	6	2	1	3	6-8	5
„ფაკელი“	6	2	1	3	2-5	5
„ტორპედო“ ქთ	5	1	3	1	5-7	5
„მეტალისტი“	4	2	0	2	7-6	4
„ტორპედო“ მ	5	1	2	2	4-5	4
„ყაირათი“	5	1	2	2	3-8	4
„ჟალგირისი“	6	1	2	3	[illegible]-14	4
„ზენიტი“	5	1	0	4	5-10	2
„ჩერნომორ.“	6	1	0	5	7-18	2

14 აპრილს ქუთაისის „ტორპედო“ უმასპინძლებს „ნეფთჩის“, თბილისის „დინამოსა“ და „არარატის“ შეხვედრა კი გადატანილია. ამ მატჩის თარიღი მოგვიანებით დადგინდება.

ჯ. ენუქიძე.

სატურნირო ორბიტა

რაგბი. თბილისსა და ლვოვში გრძელდება უმაღლესი ლიგის გუნდების საკავშირო ჩემპიონატის საწყისი ეტაპი. გთავაზობთ შედეგებს: **თბილისი. მეოთხე ტური.** თბილისის „ლოკომოტივი“-კრასნოიარსკის „ექსკავატორტიაჟსტროი“ — 14:6, მოსკოვის „სლავა“-მოსკოვის „ლოკომოტივი“ — 10:6, ი. გაგარინის სახელობის სამხედრო-საჰაერო აკადემიის გუნდი (მოსკოვის ოლქი) ალმა-ათის ასკ — 28:9; **ლვოვი. მეოთხე ტური.** კიევის „ავიატორი“-მოსკოვის „ფილი“ — 34:14, ქუთაისის „მშენებელი“-ლენინგრადის „პრიმორეცი“ — 7:13, ლვოვის „სოკოლი“-მოსკოვის „სპარტაკი“ — 31:0.

ფეხბურთი. პირველი ლიგის გუნდების საკავშირო ჩემპიონატის პირველ ტურში რომ ბათუმის „დინამომ“ და ლანჩხუთის „გურიამ“ (დასავლეთის ზონა) თავიანთი მეტოქეები დაამარცხეს, ჩვენმა მკითხველებმა უკვე იციან. გთავაზობთ ამ ტურის დანარჩენი მატჩების შედეგებსაც. **დასავლეთის ზონა.** ნიკოპოლის „კოლოსი“-აბოვიანის „კოტაიკი“ — 1:0, ზაპოროჟიეს „მეტალურგი“-კრასნოდარის „ყუბანი“ — 1:0, რიგის „დაუგავა“-ლვოვის ასკ „კარპატი“ — 0:0; **აღმოსავლეთის ზონა.** ცსკა-„შინიკი“ — 1:2, სმოლენსკის „ისკრა“-მოსკოვის „ლოკომოტივი“ — 0:2, ჯიზაკის „ზვეზდა“-ვოლგოგრადის „როტორი“ — 2:2, ტაშკენტის „ფახთაქორი“-კუიბიშევის „კრილია სოვეტოვი“ — 1:0, დუშანბეს „პამირი“-კემეროვოს „კუზბასი“ — 1:1. დღეს მეორე ტურის მატჩები გაიმართება. ბათუმის „დინამო“ მიიღებს ორჯონიკიძის „სპარტაკს“, ლანჩხუთის „გურია“ — სტავროპოლის „დინამოს“.

მხატვრული ტანვარჯიში. თბილისში ჯგუფურ ვარჯიშებში გამართულ საკავშირო ჩემპიონატზე ყველას აჯობა რუსეთის ფედერაციის ნაკრებმა, რომლის შემადგენლობაში გამოდიოდნენ ტ. ვოროტინცევა, ო. კურენკოვა, ე. ზოლოტარიევა, ი. დმიტრიენკო, მ. ფილიპოვა და ა. ივანოვა. გუნდმა 38,30 ქულა დააგროვა და პირველობა მოიპოვა. მეორე ადგილზე გამოვიდნენ მოსკოველები (37,525), მესამეზე — უკრაინელები (37,075). აქვე გაიმართა „ოლიმპიური იმედების“ ტურნირი, რომელშიც ასპარეზს ქვეყნის უძლიერესმა სპორტსმენებმა. მრავალჭიდში გაიმარჯვა ასტრახანელმა გ. ბელოგლაზოვამ (38,75). მეორე-მესამე ადგილები გაინაწილეს ტაშკენტელებმა ვ. ზარიპოვამ და მ. ნიკოლაევამ (38,50-38,50 ქულა).

ხელბურთი. კიევში გაიმართა ქალთა გუნდებს შორის ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების პირველი ფინალური მატჩი. ადგილობრივმა „სპარტაკმა დაამარცხა ამ თასის მფლობელი, ბელგრადის „რადნიჩკი“ ანგარიშით 23:16. ამ გუნდების განმეორებითი შეხვედრა გაიმართება ბელგრადში 14 აპრილს.

ფრენბურთი. ქალთა ნაკრებ გუნდებს შორის იაპონიის თასის გათამაშებაში 8-8 ქულით ლიდერობენ სსრ კავშირისა და ჩინეთის ფრენბურთელები. მორიგი კალენდარული შეხვედრები სსრ კავშირის ნაკრებმა ერთნაირი ანგარიშით 3:0 მოუგო მექსიკელებსა და სამხრეთ კორეელებს.

რედაქტორი **გ. ბედინეიშვილი.**

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66434 ... საგაზეთო კორპუსი, ხორავას 29.